საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

შაბათი, 21 აპრილი. 2018 წ. №82-83 (8483-8484), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ვკარგავთ სამშობლოს!

მთავარი მიგრანტობაა და არა კანის ფერი!.. ④

„არა ვარ, ღმერთმანი, სხვა ერის მტერი და არც ფერადკანიანთ არა ვგმობ, უფალო.. არ მინდა, აიმღვრეს, შეირყეს ერი და ქართველმან სამშობლო დავკარგოთ უბრალოდ“...

ნინო ახალაშვილი

„ცრუსთავი-2“-ის და გვარამიას დღეები დათვლილია

საქართველოს ხელისუფლება სტრასბურგს მიმართავს და სთხოვს, „რუსთავი-2“ ქიბარ ხალვაშს გადაეცეს. იუსტიციის სამინისტრო მიმართვაში წერს, რომ „რუსთავი-2-ის“ სარედაქციო დამოუკიდებლობას საფრთხე არ ემუქრება, ხოლო სტრასბურგის მიერ გამოყენებული დროებითი ღონისძიება ლახავს საქართველოს სასამართლოს იმიჯს.

ხელისუფლება ამბობს, რომ სასამართლოზე ზეწოლას სწორედ „რუსთავი-2“ ახდენს. იუსტიციის სამინისტროს არგუმენტად „ევროპული საქართველოს“ განცხადება მოჰყავს, სადაც პარტია ტელეკომპანიას ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებდა.

ჭარბვალიანობა მოსახლეობას ⑤ აღატაკებს, ბანკებს კი ამდიდრებს

9 უმდიდრესი ადამიანი უფრო მეტს ფლობს, ⑪ ვიდრე დედამიწის 4 მილიარდი მოსახლე!

მსოფლიოში დაახლოებით 1500 მილიარდერია

„ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი ზაფხულის მეორე ნახევარში გვეცოდინება

– საპრეზიდენტო კანდიდატის დასახელება ჯერჯერობით არის ნაადრევი. სავარაუდოდ, ზაფხულის მეორე ნახევარში, ივლის-აგვისტოში დასახელდება ჩვენს მიერ ოფიციალურად ჩვენი კანდიდატი. მხოლოდ და მხოლოდ წინასწარი კონსულტაციები იყო, კონსულტაციებსაც ვერ დავარქმევთ იმას, რა მსჯელობაც ჩვენ გვქონდა აქამდე. გაგრძელდება განხილვები და ამის საფუძველზე შევჯერდებით, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ძირს ჯაშუშები! ③

იოსელიანი ახლა გაკ(ტ)რაწიაშვილებულად მოგვევლინა და ამ ილეთით იცავს ანტიჯაშუშურ თავს...

პარლამენტში ეთიკის კოდექსის ახალი ინიციატივა შემოვა

„ახალი ინიციატივა შემოვა პარლამენტში და მის საფუძველზე, ჩვენ, დარწმუნებული ვარ, შევთანხმდებით ახალ დოკუმენტზე“, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ „ეთიკის კოდექსზე“ საუბრისას განაცხადა. მისი თქმით, გუშინ, პლენარულ სხდომაზე კენჭისყრისთვის წარმოდგენილ დოკუმენტთან დაკავშირებით, გარკვეული შენიშვნები იყო.

„ჩვენ გვაქვს დრო იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ. ახალი ინიციატივა შემოვა პარლამენტში და მის საფუძველზე, ჩვენ, დარწმუნებული ვარ, შევთანხმდებით ახალ დოკუმენტზე“.

ჯვრიანის საკითხი

როსტომ ჩხეიძე

⑥ დეტექტივები ⑦ ხელნაწერთა სანახებში

მონაკოში საქართველოს საპატიო საკონსულო გაიხსნა

მონაკოში საქართველოს საპატიო საკონსულო დაწესებულება საქართველოს საპატიო კონსულის – დევიდ ენტონი რენდალის მეთაურობით ოფიციალურად გაიხსნა.

ღონისძიებას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ზვიად გონაძე და საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ეკატერინე სირაძე-დელონე დაესწრნენ.

თურქეთმა აშშ-დან ოქროს მარაგი გაზიდა

თურქეთის ცენტრალურმა ბანკმა აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემიდან თავისი ოქროს მარაგი გაიტანა.

ამას ორგანიზაციის საიტზე განთავსებული ბანკის წლიური ანგარიში ადასტურებს. თურქეთი აშშ-ს სარეზერვო სისტემაში 28,689 ტონა ოქროს ინახავდა. უცხოეთიდან თავისი ოქროს მარაგი თურქულმა კერძო ბანკებმაც გაიტანეს. ისინი თურქეთის პრეზიდენტის მოწოდებას გამოეხმაურნენ. ერდოღანმა ურჩია „ვალუტის კურსის ზეწოლისა და დოლარის წინააღმდეგ ოქროს გამოყენებისგან თავი აერიდებიათ.“ თურქული მედიის ცნობით, ქვეყანაში საერთო ჯამში 220 ტონა ოქრო დაბრუნდა.

პანკისელები მაჩალიკაშვილისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებას და დამნაშავეთა დასჯას ითხოვენ

სპეცოპერაციისას მოკლული თემირლან მაჩალიკაშვილის უდანაშაულობის აღიარებას, მისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებას და დამნაშავე პირების დასჯას მოითხოვენ. აქცია პანკისის ხეობის სოფელ დუისში გაიმართა.

თემირლან მაჩალიკაშვილის მამის მალხაზ მაჩალიკაშვილის ინფორმაციით აქციის მონაწილეებმა მოთხოვნების შესასრულებლად ხელისუფლებას გარკვეული ვადა მისცეს, რის შემდეგაც, მასშტაბური აქციები უკვე თბილისში გადაინაცვლებს.

„ხეობის მოსახლეობის ინიციატივაა, რომ აქციები გამართონ და პროტესტი გამოხატონ. ყველამ იცის, რა სახის დანაშაული იქნა ჩადენილი. ამიტომ ითხოვენ იმ ხალხის დასჯას, ვინც ეს დანაშაული ჩაიდინა,“ — განაცხადა მალხაზ მაჩალიკაშვილმა.

სოხუმის რეჟიმი გალში კიდევ 7 ქართული სკოლის დახურვას გეგმავს

„ოპტიმიზაციის“ ფარგლებში სოხუმის რეჟიმი გალში კიდევ 7 ქართული სკოლის დახურვაზე ალაპარაკდა. ოფიციალურად გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის, მაგრამ თუ გავითვალისწინეთ უკვე არსებულ პრეცედენტს, როცა გასული წლის მიწურულს თაგილონის სკოლა დაიხურა, ადგილობრივი მოსახლეობა უარესის მოლოდინშია.

„ეს ფაქტობრივად ისედაც დაცლილი სოფლების სულ მთლად დაცლას ნიშნავს,“ — უთხრა DFWatch-ს გალის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელმა.

გარდა ამისა, მიდის საუბარი სკოლის ქართველი დირექტორების აფხაზებით ჩანაცვლებაზეც.

„მიმდინარე წელს, სოფელ ბარღების სკოლის დირექტორი უკვე შეცვალეს. ის ახლა აფხაზია. ასევე აქტიურად განიხილება სხვა, კონფლიქტის ზონის კვალობაზე საკმაოდ მაღალკონტიგენტიანი სკოლის დირექტორების ჩანაცვლებაც“, — აღნიშნავს კიდევ ერთი ადგილობრივი პედაგოგი.

გალის საგანმანათლებლო რესურსცენრტის ხელმძღვანელი ნონა შონია ამბობს, რომ სკოლების დახურვის შესახებ მასაც სმენია, თუმცა იმედს იტოვებს, რომ საბოლოოდ ეს სისრულეში არ იქნება მოყვანილი.

ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲒᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲗᲐᲒᲘᲚᲝᲜᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚ ᲬᲔᲚᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲘᲮᲣᲠᲐ. ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲒᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ ᲡᲣᲚ 10 ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲡ. ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ 30 ᲡᲙᲝᲚᲐᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ 4315 ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲡ.

მორიგი გატაცება გორის რაიონიდან

საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა სოფელი ჯარიაშენიდან საქართველოს მოქალაქე გაიტაცეს. გატაცებული 77 წლის ელიზბარ მესტუმრიშვილია.

მესტუმრიშვილი მწყემსია და ის საოკუპაციო ზოლთან, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მაშინ დააკავეს, როდესაც საქონელს მწყემსავდა.

საერთაშორისო მედიის წარმომადგენლები საქართველოში

მსოფლიოს გავლენიანი მედიასაშუალებების წარმომადგენლებისთვის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით პრესტური მოეწყო. National Geographic traveler“-ის, „RES Magazine“-ის, „Fashion Magazine“-ის, „The Japan times“-ის, „Conde Nast traveler“-ის და „CNN Travel“-ის ჟურნალისტებმა ერთი კვირის განმავლობაში თბილისი, ყვარელი, სიღნაღი, ანანური, გუდაური, სტეფანწმინდა, ქუთაისი, პრომეთეს მღვიმე და მარტვილის კანიონი მოინახულეს. მცხეთაში საერთაშორისო მედიის წარმომადგენლებს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე შეხვდა. პრესტურის მონაწილე ჟურნალისტები და ბლოგერები საქართველოს ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კანადიდან, შვედეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, იაპონიიდან და ისრაელიდან ეწვივნენ. ჟურნალისტები საქართველოს ტურისტული მიმართულების შესახებ გავლენიანი გამოცემებისთვის სტატიებს და ბლოგებს მოამზადებენ.

თბილისის ღამის ეკონომიკის განვითარების პროექტი

თბილისის მერმა კახა კალაძემ სასტუმრო „ბილტმორში“ თბილისის ღამის ეკონომიკის განვითარების პროექტი წარადგინა.

კახა კალაძის განცხადებით, დედაქალაქში ღამის ეკონომიკის ჩამოყალიბებისთვის განვითარებული ქვეყნებიდან საუკეთესო მაგალითები იქნება გადმოტანილი.

„გვინდა წარმოვადგინოთ ჩვენი კონცეფცია, ხედვა ღამის ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებით, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებაა. წინასაარჩევნოდ ბევრს ვსაუბრობდი ამ დარგის განვითარებაზე. ახალს არაფერს ვიგონებთ, გვინდა, რომ საუკეთესო მაგალითები გადმოვიტანოთ, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებში და ქალაქებშია“, — განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერის თქმით, ღამის ეკონომიკა რამდენიმე მიმართულებას მოიცავს, მათ შორის, ტრანსპორტის განვითარებას, ხმაურის რეგულირებას, უსაფრთხოების საკითხებს, ასევე, კულტურული და ხელოვნების ინდუსტრიის განვითარებას. პროექტის განხორციელებაში კი თითოეული მოქალაქისა და ბიზნესსექტორის ჩართულობა მნიშვნელოვანია.

„გვქონდა რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება, ვსაუბრობდით ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაზე, ტრანსპორტის მოწესრიგებაზე, ქალაქის კეთილმოწყობაზე. ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო ქალაქში ეკონომიკის განვითარება. ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მიმართულება ღამის ეკონომიკის განვითარებაა. ზოგადად, ღამის ეკონომიკის კონტექსტში მოიაზრება ტრანსპორტი, რომელსაც ამ მიმართულებით ხელს შევუწყობთ. ასევე, ერთ-ერთი საკითხია ხმაურის რეგულირება. ვიცით, რომ უსაფრთხოების საკითხები სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ამ მიმართულებით აქტიური თანამშრომლობა გვაქვს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. ღამის ეკონომიკის ერთ-ერთი ნაწილი ასევე, კულტურული და ხელოვნების ინდუსტრიის განვითარება და მისი, როგორც ეკონომიკის დარგის ჩამოყალიბებაა“, — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერის თქმით, ღამის ეკონომიკის მთავარი მიმართულება დედაქალაქის სხვადასხვა უბნების განვითარებაა. კახა კალაძის თქმით, კონცენტრირება არ უნდა ხდებოდეს მხოლოდ ცენტრალურ რაიონებზე და ქალაქის განვითარება თანაბრად უნდა მოხდეს. ამასთან, კახა კალაძემ აღნიშნა, რომ დედაქალაქში ტურისტების რაოდენობა იზრდება, რომელთან დაკავშირებითაც, ღამის ეკონომიკის განვითარების ასპექტში, ეკონომიკის სამინისტროსთან და ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა მოხდება.

სეპარატისტები ენგურჰესის დენს მთლიანად დაეპატრონენ!

ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲨᲘ ქვეყნის მთავარი ელექტროსადგურის, ენგურჰესისა და ვარდნილჰესების კასკადის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია მთლიანად აფხაზეთს მიაქვს. ამაზე მიუთითებს 2018 წლის ელექტროენერგიის ბალანსიც, რომლის მიხედვითაც, ორივე ჰესის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის 92,6% ოკუპირებულ რეგიონს მიეწოდა. სრული უკონტროლობა დენის მოხმარებაში, გამრიცხველიანების არარსებობა, ბიტკოინის ფერმები არის მიზეზი იმისა, რომ დე ფაქტო რეგიონში ყოველწლიურად იზრდება მოხმარება. გამოსავალი კი დღესაც არ ჩანს. საქართველოს მთავრობა, როგორც ყოველთვის უძლურია, ხოლო სეპარატისტები, როგორც ყოველთვის, თავგასულები.

იანვარ-მარტში ენგურჰესისა და ვარდნილჰესების კასკადის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია 724.8 მლნ კვტ/სთ იყო, აქედან 671,3 მლნ კვტ/თ აფხაზეთის რეგიონმა მოიხმარა.

რაც შეეხება თითოეულ თვეს, მონაცემები ასე გამოიყურება: იანვარში ენგურჰესმა და ვარდნილჰესმა გამოიმუშავა 259.1 მლნ კვტ/სთ, თებერვალში — 228.2 მლნ კვტ/სთ, მარტში — 237.4 მლნ კვტ/სთ. აფხაზეთისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობამ იანვარში შეადგინა 247.408 მლნ კვტ/სთ, თებერვალში — 216.467 მლნ კვტ/სთ და მარტში — 207.426 მლნ კვტ/სთ.

„ენგურჰესის“ დირექტორის განმარტებით, აფხაზეთის მიერ საქართველოში წარმოებული ელექტროენერგიის მოხმარება ბოლო წლებში საკმაოდ მაღალია. წლის განმავლობაში სეპარატისტული რეგიონი ენგურჰესის ნახევარს მოიხმარს.

„ყველაფერი წყლის მოცულობასა და შემოდინებაზეა დამოკიდებული. ზამთრის სეზონზე წყალსაცავში წყლის მოცულობა ყოველთვის მცირდება. აფხაზები გასული წლების იანვარ-მარტ-თებერვალშიც დიდი რაოდენობით ელექტროენერგიას მოიხმარდნენ. 2013 წლიდან მოყოლებული ასეა. სამაგიეროდ, აპრილ-მაისში მოხმარება უკვე მცირდება, ხოლო წლიურ ჭრილში გამომუშავებული ელექტროენერგიის ნახევარს მოიხმარენ“, — აცხადებს „ენგურჰესის“ დირექტორი ლევან მებონია.

როგორც „ენგურჰესის“ დირექტორმა „ბიპიენს“ განუცხადა **პრობლემის მოგვარების ერთადერთი გზა აფხაზეთში გამრიცხველიანებაა.** ამ საკითხზე აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებებიც ჰქონდათ, თუმცა პროგრესი ჯერ არ არის.

„მთავარი პრობლემა ის არის, რომ აფხაზეთში გამრიცხველიანება არ არის. ისინი ელექტროენერგიის მოხმარებაში საფასურს რომ იხდიდნენ, მაშინ ამდენს აღარ მოიხმარდნენ, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში. გარდა ამისა, „ენგურჰესი“ შემოსავალს მიიღებდა და დაზოგილი ელექტროენერგია საქართველოში წამოვიდოდა.

მიმდინარეობს მოლაპარაკებები აფხაზურ მხარესთან, რათა რეგიონში გამრიცხველიანება დროულად დაიწყოს. ბუნებრივია, ასე დაუსრულებლად ვერ გაგრძელდება, რომ ელექტროენერგია ჩვენგან უფასოდ მიჰქონდეთ. ამას თავადაც ხვდებიან, თუმცა ამ მოლაპარაკებების შედეგად, პროგრესი ჯერჯერობით არ არის. ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ“, — აცხადებს ლევან მებონია.

აფხაზეთში ელექტროენერგიას უკონტროლოდ მოიხმარენ, ზამთარში გათბობის, ზაფხულში კი კონდიცირებისთვის. ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი **დავით მირცხულავაც** ადასტურებს, რომ აფხაზეთის მხრიდან ელექტროენერგიის მოხმარება წლიდან წლამდე კატასტროფულად იზრდება. მირცხულავა ამტკიცებს, რომ ამის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი ბიტკოინის მაინინგის ფერმებია.

ელექტროენერგიის მოხმარების თვალსაზრისით, ბოლო პერიოდში, აფხაზეთში ნიშნული მკვეთრად გაზრდილია. მირცხულავას ინფორმაციით, ამის გამომწვევი მიზეზი, ერთი მხრივ, არის დაბალი ტარიფები, რომელიც დაახლოებით 15-ჯერ ნაკლებია, ვიდრე დანარჩენ საქართველოში. ასევე პრობლემაა ენერგიის უყაირათოდ მოხმარება და საფასურის გადაუხდელობა. მეორე მხრივ კი, დაბალტარიფიანი ელექტროენერგია ბიტკოინის მაინინგისთვის ძალიან მომგებიანია. მირცხულავას აზრით, დღეს აფხაზეთი კრიპტოვალუტების გასავითარებლად მიმზიდველი ტერიტორიაა.

ᲑᲔᲥᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

◎ გბეჭდავთ, გაგედევანებულო არჩილ, გბეჭდავთ!

ᲫᲘᲠᲡ ᲯᲐᲨᲣᲨᲔᲑᲘ!

ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲮᲚᲐ ᲒᲐᲙ(Ტ)ᲠᲐᲬᲘᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲛᲝᲒᲕᲔᲕᲚᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲘᲚᲔᲗᲘᲗ ᲘᲪᲐᲕᲡ ᲐᲜᲢᲘᲯᲐᲨᲣᲨᲣᲠ ᲗᲐᲕᲡ...

ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘ წლის მანძილზე საშუალო სკოლაში ისტორიას ვასწავლიდი. თუმცა ამ სტაჟს უნდა გამოვაკლოთ ოცდაათი, ვინაიდან, ეს იყო საბჭოთა პერიოდი. ამ დროისთვის, უნდა ვაღიარო, მოსწავლეებს როდი ვმოძღვრავდი ჭეშმარიტებიდან გამომდინარე. არ არის მოსაწონი, როცა ყველაფერს სხვას გადააბრალებ, მაგრამ ლექტორ-მასწავლებლებმა ბოლშევიკური იდეების პროპაგანდით თავგზა აგვიბნიეს. ჩვენც რას ვიზამდით, ვიზუთხავდით ყველაფერს, რაც რუსული სახელმწიფოს და საბჭოთა კავშირის ქებას ეხებოდა. საბოლოოდ მაინც გაიმარჯვა ჭეშმარიტებამ და ჩემ გონში სიმართლის სხივმაც შემოანათა. მას შემდეგ დავეწაფე სხვადასხვა ისტორიულ წყაროებს, საიდანაც სიმართლეს ვიგებდი. განსაკუთრებით მომწონს პროფესორ ლევან თოიძის წიგნები. სამწუხაროა, რომ ის უდროოდ გარდაიცვალა.

აღმაფრთოვანა ბატონი არჩილ იოსელიანის სტატიებმა, სადაც ღრმად, აკადემიურ სტილში გაანალიზებულია რუსოფილების, უფრო სწორად რომ ვთქვათ, რუსეთუმეების, კიდე უფრო სწორად – რუსეთის ჯაშუშების – ჭიპაშვილისა და მხეიძის ნაჯღაბნები. რუსეთის ჯაშუში ხარ აბა რა!? როდესაც ამ სახელმწიფოს, დღიდან დაარსებისა, ყოველგვარ სისასტიკეს გუნდრუკს უკმევ და მისი ხელმძღვანელები ცამდე აგყავს.

ჭიპაშვილი ,,ცნობილი“ პირია, ის ხომ ვაიპოლიტიკოსის, სეპარატისტის ასლან აბაშიძის ლაქიაა. ადრე ალბათ ბოლშევიკების ლაქია იყო. ეს მხეიძე საიდან გამოტყვრა, ძნელი დასადგენია.

ადრე ,,საქართველოს რესპუბლიკის“ მუდმივი მკითხველი არ ვყოფილვარ, მაგრამ ბატონ არჩილ იოსელიანის სტატიების გაცნობის შემდეგ, ზემოხსენებული ნაჯღაბნები დაკვირვებით წავიკითხე და შოკირებულ ვიქენ – ნუთუ სათანადო სახელმწიფო ორგანოები ვერ ამჩნევენ, თუ როგორ პარპაშობენ რუსეთის ჯაშუშები ქართულ პრესაში; მეტიც, დამოუკიდებელი საქართველოს (1918-21 წ.წ.) მედროშეების გაზეთში. რაღა ამ სახელს არქმევ (მივმართავ რედაქციის თანამშრომლებს) თქვე დალოცვილებო, გაზეთისთვის გეწოდებინათ – „სტალინელი“, „ოქტომბრელი“, ან კიდევ – „ბერიელი“. ალბათ მასალა შემოგღლიათ და ბერიას ქალებზე იწყეთ წერა.

იოსელიანის სტატიებმა დიდი გავლენა იქონიეს საღად მოაზროვნე ქართველებზე; იმ ნომერ „საქართველოს რესპუბლიკას“, სადაც იოსელიანის სტატიებია დაბეჭდილი, ჰაერში აფრიალებენ, ქსეროქსით ამრავლებენ და ასე ვრცელდება ხალხში.

უნებლიეთ მახსენდება უფალი ჭაბუა ამირეჯიბის რომანის ,,დათა თუთაშხიას“ ერთი ეპიზოდი, სადაც პერსონაჟს თაგვების მჭამელი თაგვი გამოჰყავს. შეხედეთ! ჭიპაშვილი მიწასთან ასწორებს რუსეთუმეებს. დაე, ჯაშუშებმა ერთმანეთი დაჭამონ.

ჭიპაშვილის ერთი გამონათქვამის ქვეტექსტი ასე იკითხება – დასავლეთს რომ საკმარისი დახმარება გაეწია საქართველოსთვის, რუსეთის ჯაშუში არ გავხდებოდიო. ეს უკვე სხვა თემაა მაგრამ იმას მაინც აღვნიშნავ, აშშ საკმარისად გვეხმარება – ერთხელ ოთხი მილიარდი დოლარის დახმარებაც კი გაგვიწია.

ასე რომ, გრიგალი ამოვარდნილია და საქართველოს ყველა შინაურ არაკეთილმოსურნეს – გაზეთი იქნება თუ კერძო პირი – ძირფესვიანად ამოგლეჯს.

ეს მცირე ზომის სტატია აუცილებლად უნდა დაბეჭდოთ! ხომ დაბეჭდეთ დანელიას და ჭუმბურიძის სტატიები.

ᲛᲘᲙᲔᲠᲫᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲪᲔᲜᲖᲣᲠᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ!

ᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲦᲡᲐᲨᲤᲝᲗᲔᲑᲔᲚᲘᲐ!

**ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲣᲛᲪᲜᲔᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲣᲛᲪᲜᲔᲠᲔᲑᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲜᲔᲑᲘ ᲮᲐᲚᲚᲘᲡ ᲛᲝᲐᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲪᲮᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲭᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲠᲔᲑᲘᲗᲘ

„არა ვარ, ღმერთმანი, სხვა ერის მტერი და არც ფერადკანიანთ არა ვგმობ, უფალო.. არ მინდა აიმღვრეს, შეირყეს ერი და ქართველმან სამშობლო დავკარგოთ უბრალოდ“...

ნინო ახალაშვილი

მთავარი მიგრანტობაა და არა კანის ფერი!..

ყველაფერი კი ბიძინა ივანიშვილის ზმანებითა თუ სიზმრით დაიწყო...

ქართველ საზოგადოებას უთუოდ ემახსოვრება 2011 წლის ოქტომბრის დასაწყისში ბიძინა ივანიშვილის მიერ გამოქვეყნებული წერილი, რომლის ადრესატი ქართველი ერი იყო. იგი მეტეორივით მოულოდნელად შემოიჭრა ქართულ პოლიტიკაში. წერილით, რომელიც, ციტირებაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ შინაარსობრივად ნამდვილად ასე იწყებოდა — ერთ დილას გამეღვიძა და აღმოვაჩინე, რომ სამშობლო მეკარგებაო და იქვე, წერილის ბოლოს დაკარგული სამშობლოს პოვნას შეჰპირდა ქართველ ხალხს?!

ჰოდა, ჩვენც მეტი რა გვინდოდა, სააკაშვილის ფაშისტურ-სადისტური რეჟიმით 9 წლის მანძილზე გათანგულ, ნაწამებ-გაუპატიურებულ ხალხს — აბა ამაზე უარესი რაღა უნდა იყოსო, ვიფიქრეთ და ხბოს აღტაცებით შევეგებეთ „სამების აღმშენებლის“ პოლიტიკაში მოსვლას...

მართალია, ივანიშვილის რესპუბლიკურ პარტიასთან ჩახუტება ეჭვის საბაბს იძლეოდა, მაგრამ, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, საზოგადოებამ სასურველი რეალობად მიიჩნია და ჩათვალა, რომ სამშობლოს სიყვარულით ანთებულ ყველა დროის უდიდეს ქველმოქმედს, ანტიეროვნულ, ანტიქართულ პარტიასთან პოლიტიკური ფლირტი, დასავლეთისთვის თვალის ასახვევად სჭირდებოდა და არჩევნების შემდეგ თავის ადგილზე „მოსვამდა“ რესპუბლიკურ პარტიას.

რა თქმა უნდა, არც ის გაგვხსენებია, რომ სააკაშვილის 9-წლიანი კოშმარის ერთ-ერთი მთავარი დამფინანსებელიც „სამების აღმშენებელი“ ბრძანდებოდა — სწორედ ბიძინა ივანიშვილის მიერ ნაყიდი სპეცტექნიკითა თუ ცრემლსადენი გაზებით გვარბევდნენ ნაც-ფაშისტები 7 ნოემბერსა თუ 26 მაისს რუსთაველის გამზირზე, რიყესა თუ პოლიციის სამმართველოსთან...

2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში კი გაიმარჯვა ივანიშვილის „ქართულმა ოცნებამ“, მაგრამ არა თუ რესპუბლიკელებს გაეყარა სუპერმილიარდერი, არამედ პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან დაწყებული, პრაქტიკულად, მთელი საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლება ქართველთმოძულე რესპუბლიკელებს ან მათ მონათესავე, ლიბერალური იდეოლოგიის მატარებელ „თავისუფალ დემოკრატებს“ ჩააბარა!

თავად კი მოკლე ხანში პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გადადგა და მის შემცვლელ ირაკლი ღარიბაშვილს „ზედმეტად ქართული“ რიტორიკის გამო, რაც მოუვიდა, ესეც კარგად გვახსოვს — კაცი ერთი დღე საკუთარი კაბინეტის წარმატებულ მუშაობასა და მომავლის გეგმებზე საუბრობდა და მეორე დღეს პრემიერის პოსტიდან გადადგა...

ამ ყველაფრის უკან რომ „პოლიტიკიდან წასული“ ბიძინა ივანიშვილი იდგა, მტერმაც იცის და მოყვარემაც.

ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკური კულისებიდან კიდევ ერთხელ და, სავარაუდოდ, უკანასკნელად 2016 წლის არჩევნების დროს გამოვიდა და უზრუნველყო პარლამენტის ისეთი შემადგენლობის არჩევა, რომელიც ქვეყნის ნეოლიბერალური იდეოლოგიით მართვას ნიშნავდა.

თუმცა ეს რბილად არის ნათქვამი, რადგანაც ლიბერალი ქოცების საპარლამენტო უმრავლესობას თუ ასევე ლიბერასტი ნაცების უმცირესობას, ასევე ლიბერასტ პრეზიდენტსაც დავუმატებთ, გამოდის, რომ საქართველოში ნეოლიბერალური უმცირესობის დიქტატურაა, ეროვნულად მოაზროვნე დანარჩენ უმრავლეს საქართველოზე!..

ეს არც თუ მცირე ისტორიული ექსკურსი იმად დამჭირდა, რომ მკითხველთან ერთად გავიაზრო რაცა გვჭირს, რატომ და საიდანა გვჭირს...

საქართველოში მიმდინარეობს ქართველთა სოციალურ-ეკონომიკური გენოციდი ე.წ. მიგრანტთა უკონტროლო შემოდინების გამო!

გასული კვირის მთავარი მოვლენა, რომელმაც შეძრა და აღაშფოთა ქართველი საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა, თბილისელთა და მიგრანტ ფერადკანიანებს შორის მომხდარი ჩხუბი გახდა.

ჩხუბი, რომლის მიზეზი ნიგერიელი სტუდენტების თავხედობა გახდა და ეს ყველასთვისაა ცნობილი.

აბა „რუსთავი-2“ რის „რუსთავი-2“ იქნებოდა, რომ ჯერ იქ, ინციდენტის ადგილას პირველი არ მივარდნილიყო, ხოლო შემდეგ „დაზარალებული“ მიგრანტები გიორგი გაბუნიას რომ არ მიეწვია პირდაპირ ეთერში?!

თუმცა, როგორც ჩანს, არა მხოლოდ ქართველი საზოგადოება ყოფილა აღშფოთებული, არამედ ქვეყნის მმართველი პოლიტიკური ელიტაც, ოღონდაც პირიქით.

ხელისუფლებამ, რომელმაც კახი კალაძის ინიციატივა გაიზიარა და პარლამენტის თავმჯდომარედან დაწყებული, „ქართული ოცნების“ სხვა ლიდერებით გაგრძელებული და ქალაქის მერითა და ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარით დამთავრებული, ამხანაგური საფეხბურთო მატჩი გამართეს ნიგერიელ სტუდენტებთან სწორედ იმ მოედანზე, სადაც ზემოთ ხსენებული ჩხუბი მოხდა!

ეს ღონისძიება ფეხბურთის ენით ბოდიშის მოხდას და თავზე ნაცრის წაყრას უფრო ჰგავდა „შეუგნებელი, ბნელი ქართველების“ საქციელის გამო, რომელთაც მამაპაპური სტუმარმასპინძლობა დავიწყნიათ და უმიზეზოდ დარევიან გადამთიელ მიგრანტებს.

თუმცა, კახი კალაძის საფეხბურთო ნაკრებმა ფრედ დამთავრებული მატჩიც არ იკმარა და უფრო დიდი ბოდიშის მოსახდელად „ჩაგრული ნიგერიელები“ მატჩის შემდგომ „მესამე ტაიმზე“, ქართულ პურმარილზე მიიწვიეს იქვე, რაღაცა ნაგებობაში.

სოციალური ქსელების ნამდვილ ჰიტად იქცა მწვადების შიშხინის ამსახველი ვიდეოკადრები, სადაც გულის შემძვრელად ჩანდა, როგორ ჩაატარეს მშიერი ქართველი ბავშვების ცხვირწინ შამფურზე ასხმული ცხელ-ცხელი მწვადები — თქვენ ვერ გაჭმევთ, მეტი აღარ არიო და „ჩაგრულ“ სტუმრებს მიართვეს მუცლების ამოსაყორად — თქვე კაი ხალხო და პირადად შენ, კახი კალაძევ, ისეთი რა გაგიჭირდათ, რომ სამყოფი ხორცი მიგეტანათ და მშიერი ქართველი ბავშვებისთვის ნერწყვი არ გეყლაპებინათ?

ამაზე იყო ერთი ვაიუშველებელი ამტყდარი სოციალურ ქსელში და კიდევ იმაზე, რომ ხელისუფლების ეს ქმედება, აპრიორი ნიგერიელების გამართლებას ნიშნავდა ინციდენტში, რომლის გამოძიება ჯერ კიდევ არ დასრულებულა!

თუმცა , შევეშვათ ჩვენს ხელისუფლებსაც და იმათ შემწვარ მწვადებსაც — ჩვენ ის ვიკითხოთ, რისი მომასწავებელია ყოველივე ზემოთ თქმული?

ამასთან დაკავშირებით საზოგადოებას მინდა, შევახსენო კიდევ ერთი ინციდენტი — ალბათ, გახსოვთ, ამას წინათ კიდევ ერთი მიგრანტი მთვრალ მდგომარეობაში, როგორ ურტყამდა წიხლებს მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე რუსული ეკლესიის ჭიშკარს და შემდეგ, როგორ დააპირა მოშარდვა წმინდა მამა ვიტალის საფლავზე, რის გამოც ყურისძირში მოხვდა ადგილობრივი ბიჭებისგან; პატრულსაც გამოუძახეს და... მერე რა?

თუ არ ვცდები, 100-ლარიანი ჯარიმა აკმარეს პაკისტანელ „სტუმარს“ და ეგ იყო და ეგ?!

ასეა, კანის ფერი კი არა, მთავარია მიგრანტი იყო რომელიმე ქვეყნიდან და საქართველოში ყველაფერზე, როგორც იტყვიან, მწვანე გაქვს ანთებული...

ახლა, ჩვენ რომ იგივე გავაკეთოთ რომელიმე ისლამურ ქვეყანაში, მეჩეთს წიხლები დავუშინოთ და ა.შ., როგორ გგონიათ, პატრულის მოსვლამდე გვაცოცხლებენ?

ასეა, საქართველოს საზღვრებზე ისეთი „სკვაზნიაკია“, რომ ვისაც უნდა შემოდის და გადის. თუმცა არა, ვისაც უნდა კი შემოდის, მაგრამ გასვლით არსადაც არ გადის; გასვლით, მხოლოდ ქართველები გადიან და ეს უარყოფითი „სალდო“, პლუს შობადობის სიმცირე და სიკვდილიანობის სიდიდე, ის ფაქტორებია, სულ მოკლე ხანში ქართველები საქართველოში ეგზოტიკური იშვიათობანი რომ ვიქნებით!

ეგ ნიგერიელი მიგრანტები კი არა, სტუდენტები არიანო...

კი ბატონო, ჩამოვიდნენ და ისწავლონ, მაგრამ უკან რომ აღარ აპირებენ წასვლას, რა ვქნათ?

მერე რაო, გამომიხტება ვინმე „პრადვინუტი“ ქართველი...

ამას წინათ საფრანგეთის საფეხბურთო, 17 წლამდელთა ნაკრები ვიხილე, რომლის უკლებლივ ყველა წევრი (ეროვნული ნაკრებისგან განსხვავებით, სადაც მართალია სანთლით, მაგრამ მაინც, ერთ-ორ თეთრკანიანს ჯერ კიდევ იპოვი) იქ დაბადებული შავკანიანია, რომელთა მშობლებიც თავის დროზე სხვადასხვა აფრიკული ქვეყნებიდან ჩასული მიგრანტები არიან!

ჰოდა, მერე ის რომ, საფეხბურთო ნაკრები იქით იყოს და პარიზში მძინარე რომ ჩაგიყვანონ, გამოღვიძებულს, თუ ეიფელის კოშკი არ დაინახე, თავი საფრანგეთში კი არა, სადმე აფრიკაში გეგონება, იმდენი ზანგები დადიან უკვე პარიზის ქუჩებში.

ეს დაემართა მრავალმილიონიან, დარტანიანის, ვიქტორ ჰიუგოს, პროსპერ მერიმეს, ჟანა დარკისა და შარლ დეგოლის საფრანგეთს და ჩვენ, ერთი მუჭა ქართველებს ხომ საერთოდ ჩაგვყლაპავენ უპრაგონოდ ჩამოსული მილეთის მიგრანტები?

ჰოდა, მე არ მინდა, რომ საქართველოსაც იგივე დაემართოს თბილისთან და ფუნიკულიორთან მიმართებაში.

ერთი კარის მეზობელი იმერული ოჯახი მყავდა, რომლებმაც გაჭირვების გამო გაყიდეს ბინა, საზღვარგარეთ გადაიხვეწნენ და ახლა იმათ ადგილზე კენიელი ზანგების ოჯახი ცხოვრობს?!

ჰოდა, თუ ეიფელსა და ფუნიკულიორს, ანუ ყოველივე ზემოთ თქმულს, იმასაც დავუმატებ, რომ კენიელების კარის მეზობლობას იმერლების მეზობლობა მერჩივნა, თუ ეს არის ფაშიზმი, რასიზმი და ქსენოფობია, მაშინ ერთიც ვარ, მეორეც და მესამეც — წადით და ვისაც გინდათ და სადაც გინდათ, იქ მიჩივლეთ!

დავით მხეიძე

ერთად გავამწვანოთ თბილისი

თბილისის მერი კახა კალაძე კერძო სექტორსა და საზოგადოებას დედაქალაქის გამწვანების ღონისძიებებში აქტიურად ჩართვისკენ მოუწოდებს.

დედაქალაქის მერი მარჯანიშვილის მოედანზე იმყოფებოდა, სადაც „გარდენიას“ დამფუძნებელი ზურაბ შევარდნაძე მოედნის გამწვანების სამუშაოებს ახორციელებს.

„მარჯანიშვილის მოედანზე გამწვანების სამუშაოები მიმდინარეობს. მიმაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ის საქმე, რაც კონკრეტულად აქ კეთდება. ყველამ კარგად იცით „გარდენია“, რომელიც გამწვანებით სამუშაოებს ახორციელებს. ეს ერთი ადამიანის კეთილი საქმეა და მისი ხელმძღვანელი ქალაქს ამ საჩუქარს უკეთებს. ძალიან მიხარია, რომ ასეთი ადამიანები არსებობენ. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებს ვთხოვო, როგორც საახალწლო განათებების შემთხვევაში დაეხმარნენ ქალაქს, ისე გამწვანებით სამუშაოებში მიიღონ მონაწილეობა — ერთად მოვუაროთ და გავამწვანოთ ჩვენი ქალაქი. დარწმუნებული ვარ, რომ ბიზნესის ბევრი წარმომადგენელი გამოგვეხმაურება, გამწვანებით სამუშაოებში ჩაერთვებიან და შევძლებთ, რომ დედაქალაქის არსებული იერსახე შევცვალოთ“, — აღნიშნა თბილისის მერმა.

ჭარბვალიანობა მოსახლეობას აღატაკებს, ბანკებს კი ამდიდრებს

ისევ „საოცრად განვითარებული“ საბანკო სექტორის შესახებ

ჭარბვალიანობის პრობლემის აღმოსაფხვრელად ეროვნული ბანკი ახალ კანონმდებლობას ამზადებს, მაგრამ ეს მაინცდამაინც არ მოსწონთ საფინანსო ორგანიზაციებს. საქმე ისაა, რომ სესხების გაცემის დროს აქცენტი შემოსავლის დადასტურებაზე იქნება გაკეთებული. შედეგად გასაცემი კრედიტების მოცულობა საკმაოდ შემცირდება.

საბანკო პროდუქტების ექსპერტი **დავით კიკვიძე** აცხადებს, რომ პრობლემას ქმნის მოსახლეობაში ფინანსური განათლების დაბალი დონე, რასაც საკრედიტო დაწესებულებები საკმაოდ კარგად იყენებენ და ცდილობენ, მომხმარებელს რაც შეიძლება მეტი პროდუქტი მიყიდონ. ეს კი, რასაკვირველია, ჭარბვალიანობას იწვევს და დიდი პრობლემების წინაშე აყენებს მოსახლეობას.

კიკვიძის განცხადებით, ბანკების და არასაბანკო საკრედიტო ინსტიტუტების ასოციაციებს შორის ამ თემაზე კონსულტაციები უკვე დაწყებულია.

„ჩემი ინფორმაციით, ამის წინააღმდეგი ბანკები არიან და ამ მიმართულებით გარკვეული მოძრაობა მართლაც დაწყებულია. ბანკების ასოციაციასა და არასაბანკო საკრედიტო ინსტიტუტების ასოციაციებს შორის მიმდინარეობს ძალიან აქტიური შეხვედრები და განხილვა. ძალიან შეშფოთებულები არიან იმით, რაზეც ეროვნული ბანკი მუშაობს. ისინი, ალბათ, კომერციული ბანკების ლობს ჩართავენ და უფრო მოქნილი პარამეტრების ჩადებას ეცდებიან, რომ მათი შეზღუდვა მძიმე არ იყოს“, — აცხადებს კიკვიძე.

სხვათა შორი, ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი **ზურაბ გვასალიაც** ადასტურებს, რომ ჭარბვალიანობის პრობლემამ უკვე მიიღო ის კონტურები, როდესაც სახელმწიფომ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს.

„ჭარბვალიანობის პრობლემა დგას, თუ მსესხებლის და მათი საოჯახო მეურნეობის არსებულ შემოსავალსა და ყოველთვიურ გადასახდელებს შორის სხვაობა არ არის საკმარისი ოჯახის წევრების ძირითადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. თუ ჭარბვალიანობა არის, ერთი მხრივ, სოციალური რისკების შემცველი, როდესაც წმინდა შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი, ზოგჯერ 75%-იც კი სესხების მომსახურებაზე მიდის, მეორე მხრივ, ეკონომიკისთვის ეს არის სისტემური რისკი. იგი ნეგატიურად აისახება ბანკების საკრედიტო პორტფელშიც ვადაგადაცილებული სესხების სახით.

გარდა ამისა, ჭარბვალიანობა ეკონომიკის ზრდასაც პრობლემას უქმნის, რადგან აღარ რჩება თავისუფალი სახსრები სამომხმარებლო საქონლის შესაძენად და დანაზოგების გასაკეთებლად. სხვადასხვა კვლევებით დასტურდება, რომ ეს ფაქტორი არის მნიშვნელოვანი. სების მიერ ჩატარებულმა კვლევამაც აჩვენა, რომ უარყოფითი ზემოქმედების მაჩვენებელი ეკონომიკის ზრდაზე -0.8%-ის ფარგლებშია“, — განაცხადა გვასალიამ.

ჭარბვალიანობის თაობაზე რამდენიმე დღის წინათ ხმამაღალი განცხადება გააკეთა ფინანსთა მინისტრმა.

„სრულიად ვიზიარებ იმ ექსპერტების მოსაზრებას, რომლებიც საუბრობენ საზოგადოებაში ჭარბვალიანობის პრობლემაზე. ეს ტენდენცია დაიწყო 2008 წლიდან და მოხდა ისე, რომ ეროვნულ ბანკში ახალი ხელმძღვანელის მოსვლამდე ვერ დავიწყეთ ამ პრობლემის მოსაგვარებლად რეალური ნაბიჯების გადადგმა. 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ახალი კანონმდებლობა, რომელმაც, გარკვეულწილად, უნდა დააბალანსოს მოსახლეობაში ჭარბვალიანობა. მაგრამ თუ ეს არ იქნება საკმარისი, კანონი აუცილებლად გამკაცრდება და გამკაცრდება წელსვე“, — განაცხადა **ბახტაძემ.**

ფინანსისტი **მიხეილ დუნდუა** იზიარებს მინისტრის პოზიციას. იგი ამბობს, რომ დღეს ბანკები გვევლინებიან რიგითი მოქალაქეების ჭარბვალიანობის პრობლემების დამძიმების მექანიზმად და არა ბიზნესის, მცირე და საშუალო მეწარმეების განვითარების ლოკომოტივად.

„საქართველოს საბანკო სექტორი მომგებიანობის თვალსაზრისით ევრაზიის კონტინენტზე არის პირველ ადგილზე ისეთი სახელმწიფოების მხარდამხარ, როგორიც არის აფრიკის ჩამორჩენილი ქვეყნები, ოკეანეთის აზიური სახელმწიფოები, ლათინური ამერიკის ქვეყნები. ამ დონეზე მისი მაჩვენებელი მსოფლიოს საუკეთესო ოცეულშია. ეკონომიკა გაქვს მსოფლიო საუკეთესო ოცეულში? არ გაქვს. ბუნებრივია, მათი მომგებიანობა ეფუძნება ჭარბვალიანობის პრობლემას, არაკვალიფიციური სესხებიდან მიღებულ შემოსავლებს“, — განაცხადა მიხეილ დუნდუამ.

ბექა დანელია

შავ ზღვაში მესამე საზღვაო ექსპედიცია დასრულდა



გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობისა და შავი ზღვის მონიტორინგის დეპარტამენტმა მესამე საზღვაო ექსპედიცია დაასრულა. თევზჭერა განხორციელდა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს სხვადასხვა უბანზე, ყველა აქტიურ სიღრმით იარუსზე — თევზსაჭერი ბადის გამოყენებით. ასევე, სპეციალური ხელსაწყოების საშუალებით განხორციელდა რესურსების სკანირება.

სპეციალისტების მიერ დამუშავდა ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე, შავ ზღვაში თევზების ბიომრავალფეროვნების და მარაგების შესახებ. ექსპედიციის ფარგლებში განხორციელდა დაკვირვებები ზღვის ძუძუმწოვრებზე. მეთევზეობისა და შავი ზღვის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ აღებული მასალა და სინჯების დამუშავება უახლოეს პერიოდში დასრულდება.

ყაზბეგის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე ონლაინ DUTY FREE სერვისი ამოქმედდა

საქართველო-რუსეთის საზღვარზე (ყაზბეგის საბაჟო-გამშვები პუნქტი) ონლაინ Duty Free სერვისი ამოქმედდა. მისი ოპერატორი კომპანია MyDutyFree-ა, რომელსაც რამდენიმე ქვეყნის აეროპორტსა თუ საბაჟო-გამშვებ პუნქტზე მუშაობის გამოცდილება გააჩნია.

როგორც MyDutyFree-ში განმარტავენ, ქართულ ბაზარზე ახლახანს შემოვიდნენ და მათ პორტფელში ეს პირველი ონლაინ პროდუქტია, რომელსაც კომპანია საქართველო-რუსეთის საზღვრის გადაკვეთისას ადამიანებს სთავაზობს.

„MyDutyFree ეს არის მაღაზია duty free-ს ონლაინ ვიტრინა. ამიერიდან ყველას, ვინც კი საზღვარს კვეთს, შეესაძლებლობა ეძლევა, მიიღოს ინფორმაცია სხვადასხვა პროდუქტზე და მათ ფასებზე. შეკვეთას მოლარე წინასწარ ამზადებს. მომხმარებელს ადგილზე მხოლოდ თანხის გადახდა უწევს“, — აცხადებენ MyDutyFree-ში. ონლაინ მაღაზიაში განთავსებული სრული ასორტიმენტის ნახვა შესაძლებელია საიტზე mydutyfree.net

მსოფლიოში — ნავთობი, საქართველოში კი საწვავი ძვირდება

მსოფლიო მედიის ყურადღება სირიაზეა გადართული არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეკონომიკური კუთხითაც. საქმე ისაა, რომ შუა აღმოსავლეთში სიტუაციის გაუარესებას ნავთობის ფასის ზრდა მოჰყვება. ზოგიერთი უცხოელი ანალიტიკოსი ერთი ბარელი ნედლი ნავთობის ღირებულების ზრდას სამნიშნა რიცხვამდეც ვარაუდობს.

ამ ფონზე, რასაკვირველია, სულ უფრო რთული ხდება საქართველოში საწვავის ფასის შენარჩუნება. **არაბრენდირებულ სადგურებზე ბენზინი და დიზელი უკვე 3-5 თეთრით გაძვირდა. მსხვილი კომპანიები ჯერჯერობით ძველ ნიშნულს ინარჩუნებენ, თუმცა, სავარაუდოდ, მხოლოდ დროებით.**

სირიის კონფლიქტის ფონზე, **გასულ კვირაში ნავთობის ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა — 1 ბარელი ნედლი ნავთობის ღირებულებამ 72 დოლარს გადააჭარბა, რაც 2014 წლის შემდეგ არ მომხდარა.**

კომპანია „ეკაპ ენერჯის“ დამფუძნებლისა და მმართველი დირექტორის ანიშ კაპადიას თქმით, 6 თვის წინათ ბევრს ეღიმებოდა, როდესაც იგი ნავთობის ფასის 60-70 დოლარის ფარგლებში გამყარებას ვარაუდობდა. შუა აღმოსავლეთში მიმდინარე დაძაბული სიტუაცია კი იმისი ვარაუდის საფუძველია, რომ **„შავი ოქროს“ ღირებულება 100 დოლარამდე გაიზრდება. „შესაძლებელია, ახლო მომავალში 1 ბარელი ნავთობის ღირებულება სამნიშნა რიცხვით აღინიშნებოდეს“,** — განაცხადა მან.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბაზარზე საკმაოდ რთული ვითარებაა, საქართველოში მოქმედი მსხვილი კომპანიის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ მაქსიმალურად ცდილობენ გამოიყენონ ყველა რესურსი საწვავის ფასის შესანარჩუნებლად. „ლუკოილ ჯორჯიას“ დირექტორის მოადგილე შავლეგ მიშველაძე ამბობს, რომ მსოფლიო ბაზარზე არსებული ვითარება საკმაოდ არასტაბილურია.

„ბევრ რამეზე გახდა დამოკიდებული ნავთობის ფასი. ეს არის არა მხოლოდ ეკონომიკის ან გეოპოლიტიკის შედეგი, არამედ ბევრი სხვა ფაქტორის ურთიერთკავშირი. შესაბამისად, პროგნოზი ურთულესი გახდა. რასაკვირველია, მაინც ვერ გავექცევით მსოფლიო ბაზარზე არსებულ ტენდენციას. თუმცა, გვაქვს საკმაოდ პოზიტიური სურათი — ლარი მყარდება დოლარის მიმართ. ეს ძალიან კარგია ჩვენთვისაც და მომხმარებლისთვისაც. იმედია, სამომავლოდაც მოგვეცემა საშუალება, ამჟამინდელი ფასი შევინარჩუნოთ“, — განაცხადა მიშველაძემ.

ბექა დანელია

სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

აცხადებს ღია კონკურსს

შემდეგი თანამდებობის დასაკავებლად

„ბორშემცველი და ფხვნილოვანი მასალების ლაბორატორია“:

ლაბორატორიის უფროსი	**- 1 ერთეული**
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი	**- 1 ერთეული**
მკვლევარი სპეციალისტი	**- 1 ერთეული**
ინჟინერი	**- 1 ერთეული**

„ლითონმცოდნეობისა და ლითონების კოროზიისაგან დაცვის ლაბორატორია“:

უფროსი მეცნიერ თანამშრომელი	**- 1 ერთეული**
ინჟინერი	**- 1 ერთეული**

„ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობის ლაბორატორია“:

უფროსი მეცნიერ თანამშრომელი	**- 1 ერთეული**

არაორგანული მასალების ქიმიური და ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის ლაბორატორია

უფროსი მეცნიერ თანამშრომელი	**- 1 ერთეული**
მეცნიერ თანამშრომელი	**- 1 ერთეული**

„პირომეტალურგიის ლაბორატორია“:

მეცნიერ თანამშრომელი	**- 1 ერთეული**

სადნობ-საჩამომსხმელო უბანი:

უფროსი მეცნიერ თანამშრომელი	**- 1 ერთეული**

ტექნიკური სამუშაოები:

ინჟინერ ელექტრიკოსი	**- 1 ერთეული**
ზეინკალი-ხარატი	**- 1 ერთეული**
დამლაგებელი	**- 2 ერთეული**

კონკურსზე წარმოსადგენი საბუთებისა და დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ www.mmi.ge, ან დარეკეთ ტელეფონზე 2380716; 577392776;

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ-ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში, მისამართზე - ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. №10, ოთახი №7 ან ელექტრონულად ელ.ფოსტაზე info@mmi.ge 2018 წლის 21 მაისიდან 25 მაისის ჩათვლით. კონკურსის ჩატარების ზუსტ თარიღს გაცნობებთ ელ.ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით.

დეტექტივები ხელნაწერთა

ნათია სიხარულიძისა და ლევან ბებურიშვილის გალაკტიონოლოგიური ნარკვევები

წლევანდელი 17 მარტი იმით აღმოჩნდებოდა გამორჩეული გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილ თავყრილობათა ციკლში, რომ მთლიანად ახალგაზრდა მკვლევართა მხრეებზე გადავიდოდა. და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნებდა, რა ღირსეული ადამიანები იმკვიდრებენ ადგილს მეცნიერების საუფლოში.

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს არ აკლია ჩინებული სამეცნიერო შეკრებანი.

არც გალაკტიონის ცენტრის შეხვედრებს აკლია შესანიშნავი მოხსენებანი.

მაგრამ ადრე თუ გვიან ახალგაზრდებს უნდა მინდობოდათ თავყრილობის კომპოზიციური ქარგის შეკვრა — არა მონაწილეებად უფროსი თაობის გვერდით, აქამდეც არაერთხელ რომ მომხდარა და თავგამოსაჩენიც ჰქონიათ, არამედ ერთადერთ განმსაზღვრელებად მისი რანგისა.

მართლაც მაღალი რანგის: მიგნებებითაც, სიახლეებითაც და გადმოცემის ხელოვნებითაც, თითქოს დეტექტივებს რომ ვადევნებდით თვალს, ერთი მსახიობის თეატრის სტილისტიკით.

ლიტერატურულ დეტექტივს, ასერიგად მახლობელს ქართული სამეცნიერო ძიებებისათვის, გალაკტიონოლოგიის სინამდვილეში თეიმურაზ დოიაშვილი დაამკვიდრებდა და თამასასაც იმთავითვე ისე მაღლა ასწევდა, ადვილად რომ ვეღარ შებედავდი ამ ჟანრს.

და მხოლოდ გახარებს ახალგაზრდებისათვის ჩვეული გაბედულებაც და... შესაფერისი ნაყოფიც თავდადებული გარჯისა, გალაკტიონის სტრიქონებიც და სტრიქონთა მიღმა სამყაროც ერთნაირად მნიშვნელოვანი და დამაფიქვრელი რომ აღმოჩნდებოდა მათთვის, ისევე როგორც — საბოლოო ტექსტიც და გადახაზულ-გადმოხაზული ვარიანტებიც.

ასე მომზადდებოდა:

ნათია სიხარულიძის „ტექსტს მიღმა რეალიები გალაკტიონის ლირიკაში“

და

ლევან ბებურიშვილის „გალაკტიონ ტაბიძე და ჰერბერტ უელსი“.

ორი მოხდენილი ლიტერატურული დეტექტივი.

* * *

ტექსტს მიღმა რეალიები იკარგება ხოლმე?

ხშირად მართლაც უკვალოდ ჰქრება, მაგრამ ავტოგრაფები ხან ინახავენ შთაგონების პირველ ბიძგთ, სრულყოფილი კვლევის სურვილი ყოველთვის რომ მოითხოვს ამგვარი რეალიების გამოვლენას, შესწავლას, გააზრებასა და გაანალიზებას.

„მშობლიური ეფემერა“ 1923 წლის 7 იანვარს რომ დაიბეჭდებოდა „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“, შემდგომი პუბლიკაციებისას გალაკტიონი ლექსს... 1915 წლით გადაათარიღებდა და... კიდეც განსაზღვრავდა მას საბჭოური კრიტიკა პოეტის რევოლუციამდელი შემოქმედებისათვის ნიშანდობლივ ღრმა სევდისა და განწირულების გამომხატველად. და სახელმწიფოებრიობის ხელმეორე ამოგება გახდებოდა საწინდარი მისი სულისკვეთებისა და მხატვრული კონცეფციის მართებულად შეფასებისათვის: ლექსში 1921 წლის 25 თებერვლის ტრაგედია აირეკლაო.

და აი მკვლევარს პოეტის არქივში უნდა მიეკვლია ფრაგმენტული ავტოგრაფისათვისაც, „მშობლიური ეფემერას“ სამი სტროფისათვის, და კიდევ ერთისათვის, რომელიც იქვე გადახაზულიყო და საბოლოო ვერსიაში აღარ მოხვედრილიყო.

და რაც განსაკუთრებით საგულისხმოა:

ლექსის თავდაპირველი სახელწოდება გახლდათ „შალვა ამირეჯიბს“, რაც იმთავითვე კანთიელად შიფრავდა ყოველგვარ ქვეტექსტს, რაკიღა ადრესატი იყო პოეტი და ეროვნული მოღვაწე, პირველი პარლამენტისა და შემდგომ უკვე პარიტეტული კომიტეტის წევრი, უმნიშვნელოვანესი მოგონებების ავტორი ქაქუცა ჩოლოყაშვილსა და მის მიერ გაშლილ ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლაზე; კაცი, ვინც 1918 წლის 26 მაისსვე განჭვრეტდა პირველი რესპუბლიკის უდღეურობას, რაკიღა პარლამენტის კედლიდან... კარლ მარქსის სურათი გადმოჰყურებდა დარბაზს.

გალაკტიონის არქივში აღმოჩნდებოდა შალვა ამირეჯიბის ერთადერთი პოეტური კრებულიც — „მინანქრები“, პოეტთა მეფე თავის შესწორებებს რომ შეიტანდა, რათა იქ რითმა შეერჩია უფრო მოხდენილი, აქ სტრიქონი კიდევ უფრო დაეხვეწა, იქ კიდევ...

ამგვარი შესწორებანი, მეტ-ნაკლებად მკვეთრი რედაქციული ჩარევანი საერთოდაც სჩვეოდა გალაკტიონს, ოღონდ სხვა დროს იმ სხვათა მიმართ არ იშურებდა ირონიულ თუ დამამცირებელ ეპითეტებსა და გამოთქმებს, ამჯერად კი მოერიდებოდა და... ჯერ მარტო ეს გარემოება ცხადყოფს, რარიგ აფასებდა იგი ამ პიროვნებას, რარიგ პატივს მიაგებდა.

კარგი იქნებოდა, თუ ყველა ამ მაგალითს აღნუსხავდა ნათია სიხარულიძე და ან ძირითად ტექსტშივე შეიტანდა თავისი ნარკვევისა და ან ვრცელ ექსკურსად დაურთავდა. ეს კი არამარტო შეავსებდა, არამედ კიდევ ერთი მომხიბლავი შტრიხითაც გაალამაზებდა ამ თავისთავად მშვენიერ ნარკვევს.

ამავე ავტოგრაფში წარმოდგენილი სხვა ტექსტების შესწავლითა და „მშობლიური ეფემერას“ ფორმაზე დაკვირვებით იმასაც დაადგენდა, რომ ეს ლექსი დაკავშირებული იყო ვალერი ბრიუსოვის ნაწარმოებთანაც „დაისის სიალე“, გარითმვის სპეციფიკური სისტემა რომ ახასიათებდა.

რუსი პოეტი მიზნად დაისახავდა, ყვავილთა თუ ძვირფას ქვების გამოყენებით წითელი ფერის ყველა ნიუანსი აესახა. და „მშობლიურ ეფემერაში“ რომ განმეორდებოდა წითელ ფერთან დაკავშირებული ლექსიკა და პეიზაჟი, და მცირე ცვლილებით — ლექსის ფორმაც, ამით ბრიუსოვის სემანტიკურ-ვერსიფიკაციული ცდა სიმბოლურ შინაარსს შეიძენდა. დარიალიდან დაძრული ავისმომასწავებელი ზარის ხმის ფონზე მეტაფორულად დაგვეხატებოდა მეწამულ ალში თავისუფალი საქართველოს დანთქმისა და „გაწითლების“ სურათი.

და კიდევ ერთი გარემოებაც, მკვლევარის მახვილგონივრული მიგნება:

ლექსის ძირითად მონაკვეთი, სადაც ამირანის მოტივი იელვებდა, შეიქმნებოდა გიორგი ქუჩიშვილის ამავე ხანებში — 1921 წელს — და ამავე მოტივზე დაწერილი ორი ნაწარმოების საპასუხოდ.

ამირანი ორივე პოეტთან საქართველოს თავისუფლებას უკავშირდებოდა, ოღონდ... გიორგი ქუჩიშვილთან — გალაკტიონის ლექსის საპირისპიროდ — ამირანი ბორკილაყრილი გახლდათ, ხოლო გასაბჭოებული საქართველო — თავისუფალი.

ტექსტებს შორის სიახლოვეს, გარდა ამირანის მოტივისა, ადასტურებდა პეიზაჟის მსგავსებაც (თერგი, დარიალი), და ასევე ლექსიკაც და კითხვა-პასუხის ფორმაც.

ასე უნდა გაცხადებულიყო „მშობლიური ეფემერას“ პოლემიკური მიზანდასახულებაც — გალაკტიონის ჭეშმარიტად ეროვნული, პატრიოტული სულისკვეთება თავისუფალი საქართველოს ტრაგიკული ბედისადმი.

ხოლო „აბისინიელი ჯარისკაცის“ ანალიზი კიდევ უფრო დაისაჭიროებდა მკვლევარისაგან დეტექტივის ალღოს, სულ სხვა რეალიებში — ჩაღრმავებული ძიების წყალობით — სხვა შინაარსი რომ ამოიცნობოდა.

ყველაფერი რომ გვეფიქრა, „აბისინიელი ჯარისკაცი“... ტიციან ტაბიძის ტრაგიკული ბედის დატირება თუ იქნებოდა, რა გვაფიქრებინებდა.

დაუნდობელმა იტალიელმა მტერმა ძმა მოუკლა აბისინიელ ჯარისკაცს, ვის გულსაც ცეცხლად ედება გრძნობა შურისძიების, და იტალიელის სისხლის დალევის სურვილი გასჩენია ძლიერი. ფიქრი არ ასვენებს და დროს უცდის შესაფერისს, როდესაც თოფ-იარაღს გამოიყენებს, მანამდე კი ძმას ცა აპკურებს ცრემლს, სისხლიანი გრიგალი კი სამშობლოს უნადგურებს.

და... რა შუაშია აქ ტიციან ტაბიძე?

რა შუაში და:

ევროპული ციკლის ამ ნიმუშებისათვის ნიშანდობლივი გახლდათ ქართული რეალობის გაუცხოება, საქართველოში მომხდარი ამბები პოეტს უცხოეთში რომ გადაჰქონდა და ასე ამბობდა სათქმელს. თუნდ ამ ციკლის ის ლექსი — „უბინაო დედა“ — თავდაპირველ ვარიანტში გალაკტიონის დედას ეძღვნებოდა და შინაარსიც სათანადო ჰქონდა.

ამჯერად კი პოეტის თვალთახედვაში: იტალიისა და აბისინიის ურთიერთდამოკიდებულებაში ალეგორიულად იგულისხმებოდა რუსეთ-საქართველოს დაპირისპირება.

და მაშ ლექსში ქართველი ძმების ამბავი გადმოცემულიყო, საზიზღარი მტერი კი, ვისზე შურისძიებაც არ ასვენებდა ლირიკულ გმირს — რუსი გახლდათ.

ავტოგრაფებზე დაკვირვება და შემოქმედებითი პროცესის შესწავლა მკვლევარს მიაგნებინებდა, რომ ლექსი თავდაპირველად ეხებოდა არა ორ ძმას, არამედ... ორ დას, და შთაგონებულიყო ინგლისური ბალადით „ორი და“. ვარიანტები კი ასახავდა ცდას, ორი დის ამბავი როგორმე ორი ძმის ამბად გადაკეთებულიყო. ვარიანტების კვალობაზე იცვლებოდა ძმების ეროვნებაც და მტრის ვინაობაც — ასე ჩნდებოდა სომეხთა და აზერბაიჯანელთა თემა, ჩინეთისა და იაპონიის დაპირისპირება...

ორი დის ამბის გადაკეთების ამგვარი თავგამოდებული ცდა მკვლევარს კიდევ უფრო გაუძლიერებდა ეჭვს, რომ პოეტი რაღაც პირადი ამბის გადმოცემას ლამობდა შეფარვით.

როდესაც „აბისინიელი ჯარისკაცი“ იწერებოდა, იმ დროს არცთუ დიდი ხნის აღსრულებული გახლდათ ტიციან ტაბიძე — გალაკტიონის ბიძაშვილი, არსებითად კი ძმაც და ტყუპისცალიც.

ხელნაწერში, ლექსის ყველა ვარიანტში საერთო იქნებოდა მოტივი — ქარის შრიალი ან მდინარის ხმაური ლირიკულ გმირს დაღუპულ დას თუ ძმას რომ ახსენებდა, ერთგან კი მდინარის სახელი ჩანაცვლებულიყო სიტყვით: ტიანცზი.

არადა ტიანცზი... არ არის მდინარე, არამედ ჩინეთის ყველაზე ცნობილი მთების სახელწოდებაა და... ამ კონტექსტისათვის მართლაც ალოგიკური ჩანდა: როგორ შეიძლება მოეგონებინა ლირიკული გმირისათვის მთას დაღუპული ადამიანი?

როგორ და:

სიტყვის „ტიანცზი“ ბგერობრივი შედგენილობა მკვლევარს აფიქრებინებდა, რომ აქ: ტ-ი-ც-ა-ნ — ანაგრამულად იკითხებოდა ტიციანის სახელი.

ერთადერთი „ზ“ ასო-ბგერის გამოკლებით მთლიანად ეს სიტყვა მოიცავდა, იტევდა ტიციანის სახელს. საგულისხმო იქნებოდა ისიც, რომ გალაკტიონის შემოქმედებაში, მის დღიურებსა თუ უბის წიგნაკებში ეს სიტყვა „ტიანცზი“ მხოლოდ ერთადერთხელ, ამ ავტოგრაფში გვხვდებოდა. ამასთან: ტიციანის სახელის სხვადასხვა ვარიაციას რომ მიმართავდა გალაკტიონი: ეს ტიციანოო, ეს ტიციანელოო, ეს ტიტოო — ტიციანის პორტრეტს რომ შეასრულებდა, წააწერდა „გიაცინტოს“, რაც ასევე ანაგრამული ხასიათისაა.

კიდევ ერთი დეტალიც:

„აბისინიელ ჯარისკაცს“ წინ უძღოდა ლექსი „ნეაპოლში“, რომელსაც თავდაპირველად ერქვა „აბისინიელს“ და... უეცრად შეგვხვდებოდა გადაძახილი: მაშ გაუმარჯოს იმგვარ სიცოცხლეს, სიცოცხლეზე რომ უტკბოესიაო, — ტიციანის სტრიქონებთან: მაშ გამარჯვება ტკბილო სიცოცხლე დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელიო.

და კიდევ ერთიც:

„აბისინიელ ჯარისკაცში“ გამოთქმულ სისხლის აღების სურვილს, რევანშის გრძნობას გალაკტიონი გაიხსენებდა თუ თავს შეახსენებდა 1952 წელს დაწერილ, კვლავ აბისინია-იტალიის თემისადმი მიძღვნილ ლექსში „აბისინიელი“: შენ არ ჩააგო ქარქაშში ხმალი, რევანშის გრძნობა არ გაინელო, სადაც შობილხარ, იმ მთა-გორების იყავ ერთგული, აბისინიელო! დარბევა, ქვეყნის განადგურება, რა სამარცხვინო ასპარეზია. ო, ეშინოდეთ იმგვარ სიცოცხლის... ის ხომ სიკვდილზე უარესიაო...

ასე ამოიზიდებოდა „აბისინიურ“ ტკივილებსა და გლოვაში ტიციან ტაბიძის სახება!..

და ძალდაუტანებლად გახსენდება თამაზ ნატროშვილის დეტექტიური ალღოთი მიგნებული ვინაობა გიორგი ლეონიძის ლექსის — „არ დაიდარდო, დედაო...“ — მინაწერში მოხსენიებული ლევანისა, ვის ტრაგიკულ ხვედრსაც შთაეგონებინა ეს ჰეროიკულ-სამგლოვიარო სტრიქონები, და ვისაც ბეჭზე არწივი ეხატა.

— 1943 წლის ნოემბერს, ტამანის ნახევარკუნძულზე ვინახულე უცნობი ქართველი მეომრის საფლავი. ლევანი რქმეოდა.

რა ტამანი და რომელი უცნობი მეომარი, „ლევანი“ სინამდვილეში თურმე... ლევან ლეონიძე გახლდათ, ძმა პოეტისა, მეცნიერი და ყოველმხრივ შემკული პიროვნება, სისხლიანი 37-ის მსხვერპლი რომ აღმოჩნდებოდა. და გიორგი ლეონიძე მის აღსასრულს დაიტირებდა მალულად, უცნობ ჯარისკაცს რომ ამოაფარებდა, თორემ საქვეყნოდ ცრემლს ვინ გამოაჩენინებდა.

ასე დაერქმეოდა ლევან ლეონიძეს „უცნობი ჯარისკაცი“, ასე ამოიზიდებოდა „ტამანურ“ ტკივილებსა და გლოვაში მისი სახება!..

ვინ იცის, რამდენი ამგვარი ცრემლი შემალულა ლექსებში, მოთხრობებში, პიესებში, თარგმანებში... დიახ, თარგმანებშიც...

ვინ დათვლის, ვინ აღნუსხავს, ვინ მიუჩენს შესაფერის ადგილს.

* * *

ცრემლი ცრემლად და:

1928 წელს „მნათობის“ ფურცლებზე გალაკტიონ ტაბიძის პოემის — „ეპოქა“ — ბეჭდვა რომ დაიწყებოდა, ლევან ბებურიშვილსაც თავის მხრივ უნდა აღენიშნა, რომ:

გარკვეული თვალსაზრისით ახალი ეტაპი დადგებოდა პოეტის შემოქმედებაში — ჩეკისტური კრიტიკის მხრიდან იდეოლოგიური თავდასხმებისა და მძიმე სოციალური ატმოსფეროს გამოისობით გალაკტიონი იძულებული შეიქნებოდა შეგუებოდა მწარე ვითარებას, შეეფერებინა საბჭოთა პოეტის წოდება და ხარკიც გადაეხადა საბჭოთა ლიტერატურისათვის. ეს იძულებითი და შინაგანად მეტად მტკივნეული პროცესი კანთიელად აისახებოდა მის იმდროინდელ ნაწერებში.

და მკვლევარი ყურადღებას მიაქცევდა „ეპოქაში“ ჩართულ შემოქმედებითი ფსიქოლოგიისა თუ სახეობრივი ევოლუციის თვალსაზრისით არა-

გალაკტიონ ტაბიძე



ჰერბერტ უელსი


შალვა ამირეჯიბი

ტიციან ტაბიძე

სანახევროში

ერთ საგულისხმო ლექსს, და მათ შორის იმ ნიმუშს, რომელიც ვრცელ ანალიზს დაისაჭიროებდა: „ინგლისელს მწერალს...“

ეს მწერალი გახლდათ ფანტასტი, რომელსაც რომანში სიტყვა რომ ჩაერთო: გიგანტები ცხოვრობენ მარსზე და მათი ენა არის... ქართულიო!.. – პოეტი მადლობას უხდიდა: უუძველესი ქართული მოდგმის გცოდნიათ ენა და ისტორია, მისი კულტურისა და მისი გამოთქმისო. ოღონდ... ეგებ ისიც ეთქვა რომანისტს, რათა უფრო სრული ყოფილიყო ამ აღმოჩენის ეფექტი: მარსზე გამოთქმა კი გახლდათ ქართული, მაგრამ... ქართულის რა დიალექტი?

და დაინტერესდებოდა ლევან ბებურიშვილი:

ვინ იყო მაინც გალაკტიონის ადრესატი და რატომ ხდებოდა იგი პოეტის ირონიის სამიზნე? გასარკვევი გახლდათ ისიც, მართლა მოგვითხრობდა ეს ინგლისელი მწერალი მარსზე ქართულად მოლაპარაკე გიგანტების შესახებ თუ... ეს მხოლოდ პოეტის ირონიის თავისებური გამოხატულება იყო?

გალაკტიონის არქივში დაცულ ლექსის ავტოგრაფს ახლდა ასეთი მინაწერი: დიდი უელსის განჭვრეტა მოკლედ არც ჰიპერბოლებს არ აგვიანებსო, – რაც ნათელს ხდიდა, რომ იგულისხმებოდა გამოჩენილი ბრიტანელი მწერალი, სამეცნიერო-ფანტასტიკური რომანების ავტორი ჰერბერტ უელსი, ლექსში აღწერილი რეალიები კი ათვალსაჩინოებდა, რომ გალაკტიონის ინტერესის სფეროში მოქცეულიყო მისი გახმაურებული რომანი „პირველი ადამიანები მთვარეზე“. და... ნეტა რატომ უნდა დაემსახურებინა ამ თხზულებას გალაკტიონის ირონია?

მკვლევარი შეგვახსენებდა, რომ:

უელსი, როგორც სამეცნიერო ფანტასტიკის ფუძემდებელი, უაღრესად პოპულარული იქნებოდა XX საუკუნის პირველ ნახევარში. მას არნახულ აღიარებას მოუტანდა წინასწარმეტყველური უნარი – თავის რომანებში უელსი განჭვრეტდა პირველი მსოფლიო ომის დაწყებას, შეჯავშნილი საბრძოლო ტექნიკის, მომწამვლელი აირის, ლაზერული იარაღის, ავიაციის გამოყენებას. 1914 წელს თხზულებაში „გათავისუფლებული სამყარო“ მწერალი აღწერდა მეორე მსოფლიო ომს, რომელიც 40-იან წლებში იწყებოდა და მთავრდებოდა ატომის დაშლის პრინციპზე მოქმედი ატომური ბომბის შექმნით. ჯერ კიდევ აინშტაინის აღმოჩენამდე რომანში „დროის მანქანა“ წამოაყენებდა ოთხგანზომილებიანი დრო-სივრცის თეორიას. მასვე ეკუთვნოდა პარალელურ სამყაროთა არსებობის იდეა, ანტიგრავიტაციის ცნება.

ყოველივე ეს უელსს წინასწარმეტყველის სახელს მოუხვეჭდა და მისი თხზულებანიც გასაოცარი ტირაჟით დაიბეჭდებოდა მთელ მსოფლიოში.

მის მიმართ გალაკტიონის ირონიის ასახსნელად კი მკვლევარი აუცილებლად მიიჩნევდა უელსის პიროვნებისადმი საბჭოთა საზოგადოებრივი აზროვნების მიმართების გათვალისწინებას. რუსეთში ინგლისელი ფანტასტის პოპულარობას ზრდიდა ისიც, რომ იგი მემარცხენე გახლდათ, წევრი ბრიტანული სოციალისტური ორგანიზაციის – ფაბიანელთა საზოგადოებისა, რომელიც მიზნად ისახავდა ეგრეთწოდებული დემოკრატიული სოციალიზმის პრინციპთა გავრცელებას თანმიმდევრული, ევოლუციური და არა რევოლუციური გზით. სოციალიზმისადმი ამ სიმპათიის გამო რუსი კომუნისტები შეეცდებოდნენ მისი კეთილგანწყობის მოპოვებას და რუსეთშიც დაპატიჟებდნენ – იმედოვნებდნენ, საბჭოთა აღმშენებლობას რომ ნახავს, მთელ მსოფლიოსაც ამცნობს ამის შესახებო.

ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე უელსი ააგებდა წიგნს „რუსეთი წყვდიადში“, რომელშიც მიუკერძოებლად შეაფასებდა საკუთარი თვალით ნანახსა და განცდილს, ბოლშევიკური მთავრობა მის კრიტიკას რომ უფრო დაიმსახურებდა, ვიდრე ქებას... მკაცრად გააკრიტიკებდა საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებას ინტელიგენციასთანაც და განაცხადებდა: განადგურება – აი რა იგრძნობა მთელ რუსეთში დღესო.

უელსისეული შეფასებანი აღაშფოთებდა საბჭოთა პოლიტიკურ ელიტას და კიდეც უსაყვედურებდნენ: არ დაინახა ის, რაც უნდა დაენახაო. მის კრიტიკოსთაგან განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა ლევ ტროცკი, რომელიც უელსს უწოდებდა ინგლისური სალონის სპეციალისტს, გატაცებულს ფანტასტიკური და უტოპიური თემებით, და განმსჭვალულს იმ რწმენით, თითქოს თავისი სტუმრობით არსებითად უდიდეს პატივს მიაგებდა ბარბაროსულ ქვეყანასა და მის ბელადს.

და გალაკტიონი, რომელიც დაინახავდა ინგლისელი მწერლისადმი საბჭოთა საზოგადოებრივი აზრის ცვლილებას, როგორც საბჭოთა პოეტს შეჰფერის, თვითონაც მხარს აუბამდა უელსის კრიტიკოსებს და დაუწუნებდა თუნდ ჰიპერბოლიზაციის მხატვრულ ხერხს: უელსი მთვარეს დედამიწის ალეგორიაც რომ წარმოსახავდა, იქ მცხოვრებთ კი ისე შეზრდილებად თავთავიანთ პროფესიასთან, რომ ამ პროფესიის დაღი დაჰჩნდებოდათ, – ამ ირონიას გაუქიაქებდა და ამით არამარტო პოლიტიკურ, არამედ ესთეტიკურ სიბრტყეზეც „გამოააშკარავებდა“ მის „უტოპისტობას“.

მაგრამ მაინც მთავარი ძარღვი ნარკვევისა უკავშირდება ლექსის იმ ფინალურ მონაკვეთს, მარსზე გიგანტები ქართულად რომ საუბრობენ.

ლევან ბებურიშვილი შეეცდებოდა მოეძებნა ის პასაჟი, რაც შესაძლოა ბიძგის მიმცემი გამხდარიყო გალაკტიონისათვის, მაგრამ...

– ჰერბერტ უელსის არც იმ პირველ („პირველი ადამიანები მთვარეზე“) და არც სხვა რომელიმე ნაწარმოებში მსგავსი ფაქტი არ დასტურდება. ვერც მწერლის ესეისტიკაში მივაკვლიეთ ამ თვალსაზრისით საგულისხმო რაიმე შენიშვნას, ან მოსაზრებას...

ამ მოკლე დასკვნის მიღმა კოლოსალური გარჯა იგულისხმება – გულმოდგინედ გაცნობა უელსის უაღრესად ხელხვავიანი და მრავალფეროვანი შემოქმედებისა... ერთი, ერთადერთი ფრაზის ან ნართაულის მისაკვლევად.

ამხელა გარჯა ორიოდ სტრიქონად ჩაიწურებოდა ნარკვევში.

რას ვიზამთ – ესეც გარდუვალი მხარეა კვლევა-ძიებისა, მძიმე შრომა შესაძლოა ერთადერთ ფრაზად, მოკლე დასკვნად ჩამოყალიბდეს, ერთ დეტალად ძიების გზაზე.

მაგრამ როგორ დეტალად!..

აგერ ვახტანგ მეექვსეს სულაც მთელი სპარსული ლიტერატურის შესწავლა-გადაკითხვა მოუწევდა იმ „უბრალო“, ბოლოს და ბოლოს ერთადერთი ფრაზის სათქმელად: „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსი სიუჟეტი სპარსეთში არსად იპოვებაო.

და ახლა უკვე იმას დაუკვირდებოდა მკვლევარი:

გალაკტიონის ირონია უელსის ჰიპერბოლიზაციის „მეთოდის“ მხოლოდ თავისებურ გაშარჟებად წარმოგვიდგებოდა თუ ამ პასაჟს სხვა ქვეტექსტი და მიზანდასახულებაც ჰქონდა?

მიაკვლევდა პოეტის ერთ-ერთ დღიურს, რომელიც საგულისხმო ცნობებს გვაწვდიდა ამ თხზულების შემოქმედებითი ისტორიის შესახებ, და რომლის ერთი მონაკვეთიც ასე გამოიყურება:

„თანამედროვე ენები და მათი ნაკლულოვანებანი...

ჯგუფი „არიფიონი“. აზრი ენის შესახებ...

პოეტები ჩემს მხარეზე იქნება...

თავისთავად ცხადია, სულერთია, რომელი ენის გეგემონია იქნება სოციალური.

ქართული ენის პრივილეგიები.

ეს საკითხი არ უნდა დაისვას ნაციონალისტური თვალსაზრისით.

სოციალიზმის ხანა, სრულებით არაა შორს...

რა თქმა უნდა, ყველას თავისი ენა მოსწონს.

აკად. პროფ. მარრი.

პოეზია იქნება ქართული. როგორ შეითვისებს ქართული ენა სხვა ენებს.

რაა ესპერანტო? ეს შესაქმნელი ენაა.

მართლა იქნება თუ არა ერთი ენა?..

როგორ ესმით ეროვნული კულტურა ეხლა? (სტალინი).

პოლიტიკური მოსაზრებითაც არ შეიძლება დიდი სახელმწიფო ენის გამეფება მომავალ სოციალიზმში, რადგან ეს ხომ იგივე იმპერიალისტური მადაგახსნილობა იქნებოდა?“

ჩანაწერი გაუმჟღავნებდა, რომ:

უელსის „გიპერბოლებისა“ და მარსზე ქართულად ლაპარაკის თემა პოეტს შემოჰქონდა საკითხთა იმ წრეში, რომელიც ეხებოდა კაცობრიობის მომავალ ენას. და ეპოქის კონტექსტის გათვალისწინება გაუთვალსაჩინოებდა, რომ გალაკტიონის ინტერესთა სფეროში მოქცეულიყო საკითხი ერთიანი საერთაშორისო ენის შესახებ, ეს ერთხანს საკმაოდ აქტუალური თემა საბჭოთა ლინგვისტიკაში.

მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გარდუვალობას უნდა მოჰყოლოდა ერთიანი მსოფლიო პროლეტარული საზოგადოების შექმნა, რომლის წევრებიც აუცილებლად დაისაჭიროებდნენ ერთიან სამეტყველო ენას, ნიკო მარის ლინგვისტური თეორიისა არ იყოს, მარქსისტულ იდეოლოგიაზე მორგებულის:

– ადამიანური მეტყველების ისტორიული გზა მიიმართება მრავალეროვნებიდან ერთიანი ენისაკენ. დამხმარე ხელოვნური ენების გამოგონება, როგორიცაა ესპერანტო და სხვა, სუროგატია იმისა, რაც აუცილებლად, ბუნებრივად განხორციელდება მომავალში... სამეტყველო ენა თავდაპირველი მრავალსახეობიდან გიგანტური ნაბიჯებით მიემართება ერთიანი მსოფლიო ენისაკენ.

დისკუსიას, რომელიც ამ პრობლემის ირგვლივ გაიმართებოდა, თვალს მიადევნებდა გალაკტიონიც, რომელსაც, როგორც მცირერიცხოვანი ერის შვილს, მართლაც დიდად აღელვებდა მშობლიური ენის მომავალი. და:

– ასეთ ვითარებაში პოეტს უჩნდება, ერთი შეხედვით, წარმოუდგენელად თამამი აზრი იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო ენის ფუნქცია, სავსებით შესაძლებელია, შეასრულოს ქართულმა. ამ გაბედული მოსაზრების წამოყენება იმითაც იყო განპირობებული, რომ გალაკტიონს მშობლიური ენის სამომავლო ხვედრთან ერთად, ბუნებრივია, აფიქრებდა საკუთარი პოეზიის ბედიც.

მისი დღიურის ორი თეზისი მართლაც მიმანიშნებელი გახლდათ, რომ:

გალაკტიონს მშობლიური ენის პოპულარიზაციის ერთ-ერთ გზად თანამედროვე ენათა ნაკლოვანებების აღწერის ფონზე ქართული ენის ღირსებების წარმოჩენა მიაჩნდა, და ამ მხრივ მოკავშირედ დაეგულებინა ნიკო მარის შეხედულება: შინაგანი თვისებებით ქართული მსოფლიო ენაო.

„არიფიონის“ ხსენება ჩანაწერში მკვლევარს აფიქრებინებდა, რომ გალაკტიონს განზრახული ექნებოდა, ამ ლიტერატურული გაერთიანების ერთ-ერთ შეკრებაზე განსახილველად შემოეტანა თავისი წამოწყება და, თუკი მოხერხდებოდა, შემდგომ ის გაეხმიანებინა როგორც ჯგუფის ერთიანი პოზიცია, რითაც ეს წამოწყება მეტ სოლიდურობას შეიძენდა.

და არც ის ფრაზები დარჩებოდა შეუმჩნეველი, პოეტი რომ აცნობიერებდა დიდი სიფრთხილის საჭიროებას ამ იდეის წამოჭრისას: ვაითუ ნაციონალიზმის გამოვლენად აღექვათ, და მაშინ კი...

ამიტომაც ირწმუნებდა თავს და შეეცდებოდა სხვანიც დაერწმუნებინა: ეს პოლიტიკური არაა, ესაა სოციალისტური და მეცნიერული... ეს საკითხი არ უნდა დაისვას ნაციონალისტური თვალსაზრისით.

დიდი სიფრთხილე უკარნახებდა გალაკტიონს ამ მარჯვე ხერხის მოშველიებას ასერიგად თამამი თვალსაზრისის გამოსათქმელად: ჰერბერტ უელსს რომ მიაწერდა და თანაც ირონიულ საბურველში გახვევდა.

ასე უნდა ამოცნობილიყო – ლევან ბებურიშვილის მახვილგონივრულ ძიებათა წყალობით – გალაკტიონის ლექსში „ინგლისელს მწერალს“ ორმაგი კოდირების თავისებური, მეტად საგულისხმო შემთხვევა:

პირდაპირი აზრით, ნაწარმოები იკითხებოდა როგორც ჰერბერტ უელსისადმი „საბჭოთა პოეტის“ მიერ მიმართული ირონია, ხოლო ფარული ქვეტექსტით უნდა გამოკვეთილიყო – და იმავე ბრიტანელი მწერლის მეშვეობით – „უუძველესი ქართველთა მოდგმის“ ენის განსაკუთრებულობა.

და ამგვარად ეს ლექსი, რომელსაც ხელნაწერში ერქვა „ქართველები მარსზე“, შეგვეძლო მიგვეჩნია ერთგვარ შემამზადებელ ეტაპად გალაკტიონის მიერ საზოგადოებისთვის ქართულის – როგორც საერთაშორისო ენის – შეთავაზების გზაზე.

კარგი იქნებოდა, თუკი ნარკვევში გაკვრით მაინც იქნებოდა გახსენებული უცნობი ჰიმნოგრაფის მესიანისტური სულისკვეთების საგალობელი: „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, იმჟამად ახალგამომზეურებული ჟურნალ „კავკასიონის“ ფურცლებზე 1924 წლის 1-2 გაერთიანებულ ნომერში ნიკო მარის მიერ სინას მთაზე მოძიებული მასალებიდან.

პავლე ინგოროყვას განმარტებით: ქართული ენის ეს მისტიკური ხოტბა ცხადყოფდა ქართული ეროვნული თვითცნობიერების მდგომარეობას და მესიანისტურ სულისკვეთებას X საუკუნის ქართულ განათლებულ წრეებში.

სხვას რას იფიქრებდი, როდესაც ეს ჰიმნოგრაფიული ძეგლი ირწმუნებოდა: ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითაო; ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არსო; და ესე ენაი, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასაო...

ხელისუფლების უშუალო ბრძანებით მიიკეტებოდა პავლე ინგოროყვასა ჟურნალი. თვითონაც 30-იანი წლების დამდეგიდან დევნილი აღმოჩნდებოდა.

მაგრამ საზოგადოებრივ ცნობიერებაში კვლავაც იტრიალებდა ამ საგალობლის სტრიქონებიც და ერთიანი შთაბეჭდილებაც – გასამხნევებლად და იმედოვნების შესანარჩუნებლად დამოუკიდებლობადაკარგულ ქვეყანაში; და გალაკტიონიც ჩინებულად იცნობდა ამ ძეგლს და საფიქრელია, მისგან მოგვრილი შთაბეჭდილებაც ყოფილიყო მისთვის ერთ-ერთი იმპულსი, სულაც შთამაგონებელი თუ არა, იმ გაბედული იდეის გამოსათქმელად.

ეგაა: ის, რაც უცნობი ჰიმნოგრაფის მიერ პათეტიკური, აღმტაცი კილოთი უნდა გამოხატულიყო, საბჭოთა ეპოქაში მცხოვრები პოეტი მხოლოდღა ირონიულ სამოსელს თუ მოარგებდა.

ღმერთმა ამხილოსო... სახელითა უფლისაითაო... მეორედ მოსვლასა უფლისასაო...

დაკარგულიყო უფალი, ღმერთსმოკლებულ სივრცეში კერპები ჩანაცვლებოდნენ, და მთლადაც უნდა გამქრალიყო მისი გასაგისი, ისევე როგორც ყველა ენისა, რუსულის გარდა, ქართულსაც რომ გადაყლაპავდა და შეირწყავდა – ერთიანი მსოფლიო ენის საბჭოურ-კომუნისტური დოქტრინა რასაც ღაღადებდა.

და ასეთ დროს ქართული ენის მესიანისტური რწმენის იდეა ირონიულ სამოსელს თუ მოიცვამდა.

და მაინც ითქმოდა.

და მაინც გაცხადდებოდა.

ხოლო „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ ღმერთდაკარგულ სამყაროში... თუმც ეს უკვე სხვა საჩხრეკ-საძიებელი და სხვა განსასჯელია, მთავარი ისაა, რომ ამ ნარკვევის წყალობით ასე მარჯვედ გაიხსნებოდა ლექსში ჩამალული ორმაგი კოდი, ჰერბერტ უელსის სახელს ამოფარებული გალაკტიონი ქართული ენის განსაკუთრებულობასა და მსოფლიო ენად მისი აღიარების ოცნებას რომ ამოთქვამდა.

* * *

სიახლე წყუროდა გალაკტიონს, სულ სიახლეს გაიძახოდა, სულ სიახლეს მოითხოვდა: თავსაც იმხნევებდა, სხვებსაც აგულიანებდა, რადგანაც სიახლის გარეშე ვერ წარმოედგინა ვერც ცხოვრებისა და ვერც ლიტერატურის მდინარება.

სიახლე არ აკლია ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო თავყრილობებს.

სიახლე არ აკლია გალაკტიონოლოგიასა და მის დაუმცხრალ წინსვლას, პოეტის ოცნება ასე შესაფერისად რომ აცხადდებოდა.

დასტური არაერთია საამისოდ, და თუნდ ის დღეც, ასერიგად გასახარი და გასამხნევებელი:

შალვა ამირეჯიბის ლანდი რომ იელვებდა.

და ტიციან ტაბიძის დატირებაც რომ ამოჩნდებოდა.

და ჰერბერტ უელსის მიღმიდან კი თვითონ გალაკტიონი შემოგვაშუქებდა თავისი განუმეორებელი ღიმილით.

როსტომ ჩხეიძე

ნატოში საქართველოს გაწევრება თურქეთს ალიანსისთვის უსარგებლო ქვეყნად აქცევს!

აზერბაიჯანული გამოცემა „Новое время“ ეხმიანება თურქეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის განცხადებას იმის შესახებ, რომ თურქეთი ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას მხარს უჭერს.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ აზერბაიჯანული გამოცემის მიერ გამოქვეყნებული ანალიტიკური მასალის ქართულენოვან ვერსიას მცირე შემოკლებით:

სირიის წინააღმდეგ განხორციელებული სარაკეტო დარტყმის შემდეგ შექმნილ მწვავე პოლიტიკურ ფონზე თურქეთის ნაბიჯები, კერძოდ – საგარეო საქმეთა მინისტრის მევლუდ ჩავუშოღლუს განცხადება, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ უცნაურად გამოიყურება. „ანკარა მხარს უჭერს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოებას აღმოსავლეთ ევროპაში და სამხრეთ კავკასიაშიო, ბრძანა მევლუდ ჩავუშოღლუმ.

განა თურქეთის ინტერესებია ნატოს გაფართოება? ძალიან საეჭვოა და აი, რატომაც.

როგორც ცნობილია, თურქეთი ნატოს წევრი 1952 წლიდანაა. სხვათა შორის, ალიანსში მისი მიღება ნატოს პირველ გაფართოებად ჩაითვალა, მანამდე კი სამხედრო ბლოკში მხოლოდ 12 დამფუძნებელი ქვეყანა იყო. იმ პერიოდიდან თურქეთი ნატოს სამხრეთ ფლანგს იცავდა. მაგრამ წლები გადიოდა და „დრონი იცვალნენ“: თუ ადრე აშშ და ნატო თურქეთს მოკავშირედ მიიჩნევდნენ, დღეს ვაშინგტონი და ბრიუსელი ანკარას ლამის მტრად თვლიან.

სირიის მიმართულება, სადაც ერთი მხრივ – აშშ-სა და ნატოს და მეორე მხრივ – თურქეთს საერთო მიზნები აქვთ (არცერთს არ სურს პრეზიდენტად ბაშარ ასადის დარჩენა), ანკარისთვის დამამშვიდებელი მომენტი არ უნდა იყოს. მართალია, თურქეთმა ოფიციალურად დაუჭირა მხარი სირიის წინააღმდეგ მიმართულ სარაკეტო დარტყმას, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვაშინგტონსა და ანკარას შორის კონფლიქტური სიტუაცია სწორედ სირიის მოვლენების გამო ჩამოყალიბდა: თეთრმა სახლმა ღიად დაუჭირა მხარი სირიაში მებრძოლ ქურთების სამხედრო ქვედანაყოფებს, რომლებსაც ანკარა ტერორისტებად თვლის. ამგვარმა გარემოებამ აშშ-სა და თურქეთს შორის „განხეთქილების ვაშლის“ როლი შეასრულა.

რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ ფაქტს არ გაუფუჭებია ვაშინგტონ-ანკარის ურთიერთობა. თურქეთის ხელისუფლებას ჯერ კიდევ არ დავიწყებია აშშ-ის მიერ გამოხატული მდუმარე თანხმობა 2016 წელს მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის მიმართ. თავის მხრივ, ჯერ კიდევ დღის წესრიგშია თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ნატოს ბაზა „ინჯირლიყის“ ბედის გადაწყვეტა... ისმის ოფიციალური პირების ხმამაღალი განცხადებები ნატოდან თურქეთის შესაძლო გასვლის თაობაზეც.

ამის პარალელურად სწრაფად უარესდება თურქეთის ურთიერთობა ევროკავშირთან, რომლის წევრად მიღებას ანკარა დიდი ხნის განმავლობაში წარუმეტებლად ცდილობს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დასავლეთის ფრონტი თურქეთის და საერთოდ, მუსულმანური სამყაროს წინააღმდეგ არის მიმართული – ეს უკვე იმდენად აშკარად ჩანს, რომ ამის დამალვას არავინ არ ცდილობს. ხშირად ხდება, რომ ევროპის დედაქალაქებს და მთავრობებს ანტითურქული ისტერია მოიცავს ხოლმე. სხვათა შორის, თურქეთი ვალში არ რჩება.

რეჯეპ ერდოღანი ხშირად აცხადებს, რომ დასავლეთი მსოფლიოს რიგ ქვეყნებში მუსულმანური უმცირესობის „ეთნიკურ წმენდებს ვერ ამჩნევენ“. პრეზიდენტის ნათქვამის გათვალისწინებით, კიდევ უფრო გასაკვირია ის, რომ თურქეთი, საგარეო საქმეთა მინისტრის პირით, მხარს უჭერს ნატოს გაფართოებას. საიდუმლოს არ გავამხელთ, თუ ვიტყვით, რომ ნატოში საქართველოს მიღება (ანუ ალიანსის მოსვლა აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთსა და სამხრეთ კავკასიაში) ჩვენს რეგიონში ძალიან სახიფათო დაძაბულობას შექმნის.

იმავდროულად ნატოში საქართველოს გაწევრება და, შესაბამისად, ალიანსის გამოჩენა შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე, თვითონ თურქეთს ნატოსთვის უსარგებლო ქვეყნად აქცევს.

არასტაბილურობის რკალი, რომელიც ახლო აღმოსავლეთიდან იწყება, უეჭველია, სამხრეთ კავკასიასაც გადაფარავს. რა თქმა უნდა, მოსკოვი მდუმარედ არ დააკვირდება ნატოს სამხედრო ინფრასტრუქტურის მიახლოებას მის საზღვრებთან: რუსეთი იძულებული იქნება, ადეკვატურად უპასუხოს ალიანსის ნაბიჯებს.

აქსიომაა ისიც, რომ ნატოში საქართველოს გაწევრება ერთმნიშვნელოვნად მოახდენს სიტუაციის დესტაბილიზებას სამხრეთ კავკასიაში, რომელიც ისედაც დენთის კასრს წარმოადგენს აქ არსებული კონფლიქტური პრობლემების გამო. ეს წამგებიანია როგორც აზერბაიჯანის, ისე თურქეთის ინტერესებისთვის.

წუთიერმა გეოპოლიტიკურმა სარგებელმა, რომელიც სირიას უკავშირდება, არ უნდა დაჩრდილოს თურქეთის რესპუბლიკის გლობალური ინტერესები, რომლებიც, როგორც ბოლო მოვლენები ადასტურებს, გამოხატულია ანკარის ნატოსაგან და ევროკავშირისაგან დამოუკიდებელ პოზიციაში და თურქეთის საგარეო პოლიტიკური ვექტორების შეცვლაში დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

„NOVOYE VREMYA“ (აზერბაიჯანი)

გერმანიის მოქალაქე თვითმფრინავის აფეთქების მუქარის ბრალდებით დააკავეს

ტაილანდის პოლიციამ გერმანიის მოქალაქე დააკავა, მას შემდეგ რაც მან ბარგში ხელნაკეთი ბომბის არსებობის შესახებ განაცხადა. იუწყება ტაილანდის ტელევიზია.

მგზავრმა ამის შესახებ თითმფრინავის აფრენამდე განაცხადა, რომელიც ასრულებდა რეისს ბანგკოკის მიმართულებით. ამის შემდეგ თვითმფრინავზე დატვირთული ყველა ბარგი იქნა გადმოცლილი და შემოწმებული, თუმცა ასაფეთქებელი მოწყობილობა იქ არ აღმოჩნდა. პოლიციაში დაკითხვისას გერმანელმა მგზავრმა აღიარა, რომ მან იხუმრა ბომბის თაობაზე, რადგან ძალიან იყო გაღიზიანებული ფრენის ორი საათით შეფერხების გამო.

უკრაინელი რადიკალები ბოშების წინააღმდეგ ბრძოლას იწყებენ

უკრაინის რადიკალური ეროვნული ორგანიზაცია C14* ჩაატარებს შემოწმებას ბოშების წინააღმდეგ. ამის შესახებ დაჯგუფების წარმომადგენელმა სერგეი მაზურმა თავის „Facebook„ გვერდზე განაცხადა.

ადრე, დაჯგუფება C14*-მა დაარბია ბოშები, რომლებიც რამდენიმე დღე ზედიზედ ათენებდნენ კიევის ცენტრალური რკინიგზის სადგურის მოსაცდელ დარბაზში.

ამჯერად ჯგუფის წევრები ბოშებისგან გოლოსეევსკის რაიონის ტერიტორიის დატოვებას ითხოვენ.

„ჩვენ მათ დავიჭერთ და მოვთხოვთ პოლიციას, რომ არც ერთი მათგანი არ დარჩეს დაუსჯელი სამართალის დარღვევის გამო. მოწყალების მოთხოვნა, ქურდობა, ნუთუ ეს ნორმალურია? ხელშეუხებელი კასტა უნდა დაიშალოს და უნდა დაისაჯონ დამსახურებულად“, – წერს მაზური.

სლოვაკეთში აღმოჩენილი აუფეთქებელი ბომბის გამო მოსახლეობის ევაკუაცია დაიწყო

სლოვაკეთის ადგილობრივმა პოლიციამ ევაკუაცია მას შემდეგ დაიწყო, რაც უნგრეთის საზღვართან ოთხი 100-კილოგრამიანი საბჭოთა კავშირის მიერ დამზადებული ბომბი აღმოაჩინეს.

მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ბომბი ერთ-ერთმა მოქალაქემ შეამჩნია, რომელიც ძაღლს ასეირნებდა. შემთხვევა ბერლინში განხორციელებული ევაკუაციის შემდეგ მოხდა.

სტოლტენბერგმა შესთავაზა საბერძნეთის და თურქეთის, დავა ნატოს ჩარევის გარეშე გადაჭრან



ნატო არ აპირებს ჩაერიოს თურქეთს და საბერძნეთის ურთიერთობებში და სთავაზობს მათ ყველა პრობლემა გადაჭრან ორმხრივი მოლაპარაკებების ფარგლებში. ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა. „ამ ორ ქვეყანას შორის არსებული დავის შესახებ ცნობილია. მე მოვუწოდებ თურქეთს და საბერძნეთს, დაარეგულირონ თავიანთი შეუთანხმებლობა კეთილმეზობლური ორმხრივი მოლაპარაკებების ჩარჩოში“ – განაცხადა სტოლტენბერგმა.

მისი თქმით, ნატოს ჩარევა არ იქნებოდა ამ შემთხვევაში სასარგებლო. ასევე აღნიშნა, რომ „ორივე ქვეყანა წარმოადგენს ღირებულ მოკავშირეს ალიანსის, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე“ და ორივეს აქვს შეტანილი თავიანთი წვლილი ნატოს თავდაცვის კომლექსიური ოპერაციების მისიებში. ბერძნულმა მედიამ ნეგატიური რეაგირება მოახდინა სტოლენბერგის სიტყვებზე და ნატოს გენერალური მდივანი პილატე პონტოელს შეადარა.

ცნობისთის, ბოლო თვეებში ათენსა და ანკარას შორის ურთიერთობა საგრძნობლად დაიძაბა. თურქეთი ეჭქვეშ აყენებს ეგეოსის ზღვაში რიგი კუნძულების ტერიტორიულ კუთვნილების საკითხს და სისტემატურად არღვევს საბერძნეთის საჰაერო და საზღვაო სივრცეს.

ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ლიდერებს შორის პირდაპირი სატელეფონო კავშირი შექმნეს

ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეამ დაამყარა პირდაპირი სატელეფონო ხაზი საგანგებო კავშირებისთის ორ კორეულ სახელმწიფოს შორის, – იუწყება სამხრეთ კორეული სააგენტო.

ეს გაკეთდა 27 აპრილს დაგეგმილ შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე, რომელიც შედგება მუნ ჩე ინისა და კიმ ჩენ ინს შორის, დემილიტარიზებულ ზონაში. ახლა მათ შეუძლიათ, ნებისმიერ დროს დაუკავშირდნენ ერთმანეთს პირდაპირი სატელეფონო ხაზის მეშვეობით.

სამგზავრო მატარებლები ერთმანეთს შეეჯახა

ავსტრიის ქალაქ ზალცბურგში, ცენტრალურ რკინიგზის სადგურზე ორი სამგზავრო მატარებელი ერთმანეთს შეეჯახა. ინციდენტის შედეგად დაშავდა მინიმუმ 54 ადამიანი. მედიის ცნობით, ყველა დაზარალებულის ჰოსპიტალიზირება უკვე მოხდა. ამ მომენტისთვის ინციდენტის დეტალები დგინდება.

ილია ჭავჭავაძის ძეგლის ბედი ლაგოდეხში

ხალხის ინიციატივითა და ფინანსებით შექმნილი ილია ჭავჭავაძის ძეგლი ლაგოდეხში, „ავტოსატრანსპორტო საწარმოს“ ტერიტორიაზე, ავტოფარეხშია განთავსებული. ძეგლის მშენებლობისთვის შექმნილი ფონდი ამ დრომდე ფუნქციონირებს. შემომწირველებს მისი დამზადება 30 000 ლარზე მეტი დაუჯდათ. ძეგლის მფლობელი ფონდის ყოფილი ხელმძღვანელის მემკვიდრეა, რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობას 17 ათასი ლარის გადახდას სთხოვს. რას გეგმავს ადგილობრივი ხელისუფლება და რას ამბობს ნამუშევრის ავტორი, მოქანდაკე ნეველი ჯიქია?

ილია ჭავჭავაძის ძეგლი, რომლის მშენებლობაც 18 წლის წინათ დაიწყო და მისმა ბიუჯეტმა 30 ათას 600 ლარი შეადგინა, ლაგოდეხის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ტერიტორიაზე, ღია ტიპის ავტოფარეხში, დაშლილ მდგომარეობაში ინახება. ამის მიზეზი კი შეუთანხმებლობაა. ავტოსატრანსპორტო საწარმოს წარმომადგენელი ამბობს, რომ ძეგლი ლაგოდეხში ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა განთავსებულიყო, მაგრამ, შეუთანხმებლობის მიზეზით, ძეგლმა მზის სინათლე 18 წლის განმავლობაში ვერ იხილა:

„იყო ლაპარაკი, რომ სადაც ახლა ავტოსადგურია, იქვე, გვერდზე, სპორტის სასახლესთან უნდა ყოფილიყო ძეგლი, თუმცა გამგეობაში ვერ შეთანხმდნენ და მას შემდეგ აქ არის“.

ძეგლის მშენებლობისთვის 1998 წელს შექმნილი ფონდი ლაგოდეხში დღემდე არსებობს. მას მამის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით თორნიკე კაპანაძე ხელმძღვანელობს. თორნიკე დავალიანების, 17 ათასი ლარის, გადახდას ითხოვს. ამბობს, რომ ეს თანხა თავის დროზე ძეგლის ასაშენებლად მისმა ოჯახმა გაიღო და უკან უნდა დაიბრუნონ. თორნიკე კაპანაძისავე განცხადებით, ყველანაირი დოკუმენტი არსებობს იმისა, თუ რამდენი დაიხარჯა ძეგლის შესაქმნელად და იქიდან რამდენი ოყო ოჯახის ფული.

„როცა იყო საუბარი, რომ ვითომ დოკუმენტაცია არ არსებობდა, საკრებულოში მივედი და მივუტანე ყველა საბუთი, ასევე ქვითრებიც. სუყველაფერი დავულაგე მაგიდაზე და თვითონაც გაუკვირდათ და მითხრეს, უი, საბუთები ყოფილაო?!

იყო ლაპარაკი და მსჯელობა, თუ როგორ უნდა გამოიყოს ფული. მე ვამბობ, რომ უნდა ჩაატარონ ტენდერი, თუმცა დაფიქრდნენ. ვნახოთ, როგორ გაგრძელდება საქმე“.

ნამუშევრის ავტორი მოქანდაკე ნეველი ჯიქიაა. ხელოვანი გვეუბნება, რომ იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტი ფონდის დავალიანებას გადაიხდის, ის ჰონორარს მოითხოვს. მისი განცხადებით, წლების განმავლობაში ფონდიდან მიღებული თანხა ძეგლის მასალებში, მუშების კვებასა და ხელფასებში დაიხარჯა, ჰონორარი კი დღემდე არ აქვს აღებული:

„რა გახდა, არ რცხვენიათ? ილია ჭავჭავაძის ძეგლია! სულ ისე ყოფნას, სკოლის ეზოში მაინც დავდგამდი, ბოლოს და ბოლოს! 60-ჯერ ჩამოვედი ლაგოდეხში. არც ერთ ქანდაკებაზე ამდენი არ მივლია და ვერ ვეღირსე მაგ ძეგლის დადგმას.

თუ არ დგამენ, ჩამოწერონ და თქვან: არ ვარგა, ავტორმა ვერ გააკეთა კარგად. საბუთებში წერია, რომ მე ჰონორარი აღებული მაქვს, მაგრამ რეალურად ის არ იყო ჰონორარი და დაიხარჯა მასალებსა და მუშებისთვის. თუმცა ვერავის ვერაფერს ვერ დავუმტკიცებ, როგორ და რამდენს ვაძლევდი მუშებს. მარტო კი არ ვაკეთებდი 4- მეტრიან ქანდაკებას“...

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ღამბაშიძე ამბობს, რომ მისთვის, როგორც მოქალაქისა და თანამდებობის პირისთვის, ილია ჭავჭავაძის ძეგლის საკითხი მნიშვნელოვანი და აქტუალურია. ღამბაშიძე გვეუბნება, რომ წინა მოწვევის საკრებულოში ამ საკითხის გასარკვევად დროებითი სამუშაო ჯგუფი იყო შექმნილი, თუმცა ძეგლის ამჟამინდელ მესაკუთრესთან კონკრეტული შეთანხმება ვერ შედგა. გიორგი ღამბაშიძე ამბობს, რომ ეს საკითხი ახალი მოწვევის საკრებულოსთვისაც მნიშვნელოვანია და ძეგლის დასადგმელად მსჯელობა კვლავ იგეგმება:

„ვიცით, რომ ძეგლი არსებობს, თუმცა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. კერძო პირს აქვს ეს ძეგლი შენახული. წინა მოწვევის საკრებულოზე არსებობდა სამუშაო ჯგუფი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მიაღწია იმ პირთან გარკვეულ მოლაპარაკებას. ახლა უკვე ახლად არჩეული საკრებულოს და მერის ფონზე ამ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობები გაიმართება და ორივე მხარე მოწადინებული ვართ, რომ აღნიშნული ძეგლი ლაგოდეხში დაიდგას“.

გიორგი ალადაშვილი

ზეზვა და მზია სტუმრებს ელიან

დმანისის ნაქალაქარი და მისი ტურისტული პოტენციალი

დმანისის მუზეუმ-ნაკრძალი თბილისიდან 85 კილომეტრში მდებარეობს. აქ აღმოჩენილი ჰომინიდებისა და ცხოველთა ნაშთები, ასევე ქვის იარაღები, დაახლოებით 1.8 მილიონი წლით თარიღდება. მუზეუმ-ნაკრძალი მოიცავს შუა საუკუნეების ქალაქის ნანგრევებს, არქეოლოგიურ ველს, შუა საუკუნეების ციხესიმაგრესა და IX-XIII საუკუნეების ეკლესიას.

დმანისის შუა საუკუნეების ნაქალაქარი შიდა ციხეს, ქალაქის საერო და საკულტო ნაგებობებს, საიდუმლო გვირაბსა და გარეუბნის ნაგებობებს მოიცავს. საკულტო ნაგებობებიდან აღსანიშნავია VI ს-ის დმანისის სიონი, XIII ს-ის ორნამენტებითა და წარწერებით შემკული უნიკალური კარიბჭით. ამ პერიოდში მაშავერასა და ფინეზაურის შესართავთან აღმართულ კონცხზე გაშენებული დმანისი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ქალაქი იყო. იგი სავაჭრო გზაჯვარედინზე მდებარეობდა.

XVIII საუკუნეში, დიდი ლეკიანობის ჟამს, დმანისშიც უამრავი ხალხი გაწყდა. ვინც გადარჩა, თავს უშველა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადასახლდა. დმანისის ნაქალაქარი 13 ჰექტარს მოიცავს.

1999 და 2001 წლებში დმანისის რეგიონში გათხრების შედეგად, იპოვეს ჰომინიდთა — უძველესი ადამიანების — თავის ქალები და ყბის ძვლები, რომლებსაც მოგვიანებით ჰომოერექტუსი? შეარქვეს. დღესდღეობით უკვე ხუთი თავის ქალა და ოთხი ქვედა ყბაა აღმოჩენილი— მათ შორის, „მზიასა“ და „ზეზვას“ სახელით ცნობილი ყველაზე ადრეული თავის ქალები. სპეციალისტების მტკიცებით, მათი ასაკი 1.8 ათასი წლით თარიღდება. მათი რეკონსტრუირებული მულაჟები ახლა დმანისის მუზეუმში ინახება.

არქეოლოგმა და ისტორიკოსმა ჯუმბერ კოპალიანმა, რომელიც 2000 წლიდან დმანისში არქეოლოგიურ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა, გასულ კვირას ნაქალაქარში ჩასულ ჟურნალისტებს უამბო, რომ მსოფლიოს არც ერთ ძეგლზე ჰომინიდის ამდენი ნაშთი ერთად არ აღმოჩენილა.

„დმანისის ეს აღმოჩენები უნდა გამოიყენოს ცენტრალურმა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ. ხელშეწყობის შემთხვევაში, ნაქალაქარში ტურისტების ტევა არ იქნება“, — ამბობს ჯუმბერ კოპალიანი. — **„გერმანელი, ესპანელი, ფრანგი თუ ამერიკელი, რომელსაც შემოვლილი აქვს მთელი მსოფლიო და ფიქრობს სად წავიდეს, როცა იგებს უძველესი ადამიანის ბინადრობის ადგილს, ალაგებს ჩემოდნებს და მოდის აქეთ. ჩინეთში არის ისტორიული ადგილი, სადაც აღმოჩენილია ნახევარი მილიონი წლის წინანდელი ადამიანის ნაშთები, იქ ტურისტების საოცარი ბუმია. ჩვენი აღმოჩენა კი იმაზე მილიონი წლით უფროსია. ტურისტებს ზღვით ვერ დავაინტერესებთ, დავაინტერესებთ ისტორიული ძეგლებით, ისეთით, როგორიც დმანისის ნაქალაქარი და იქ აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლებია“.**

როგორც დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ტატუაშვილი ამბობს, მუნიციპალიტეტი ტურისტული სეზონისთვის ემზადება. 2019 წლისთვის მოხდება დმანისის ქალაქ-ნაკრძალისკენ მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. სამწლიანი გეგმა ასევე მოიცავს ღამის გასათევი და სასტუმრო ობიექტების მშენებლობას, სველი წერტილების მოწყობას. გადაამზადებენ გიდებს: **„დმანისის პოპულარიზებას ახალი ფაზიდან ვიწყებთ და ამაში დიდი როლი მედიას ეკისრება. 2019 წლიდან დიდი ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაიწყება კულტურული და ისტორიული ძეგლების მონახულებისთვის, რეკრეაციული ზონების, აგროტურიზმისა და ეთნოტურიზმის განვითარებისთვის. დაზუსტდება ტურისტული მარშრუტი“.**

დავით მჭედლიძე

საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე

ჰილარი კლინტონის მონაწილეობა წინასაარჩევნო მარულაში ჩვენი ქვეყნის სირცხვილია. კაციც რომ ყოფილიყო, ის არჩევნებს მაინც წააგებდა.

* * *

თქვენ მუდამ ერთსა და იმავე ადამიანებს ირჩევთ — კლინტონი აქ, კლინტონი იქ.

* * *

კლინტონი ჭკუამოკლე იყო არა მარტო თავისი ელექტრონული ფოსტით, არამედ რეჟიმების ცვლითაც და ამერიკელთა ცხოვრების მიმართაც.

* * *

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ვის ვუშვებთ ქვეყანაში! მიგრანტი შხამიანი გველია, რომელიც ყველას გესლავს, ვინც შეიკედლებს და შემცივნებულს უბეში ჩაისვამს გასათბობად.

* * *

ვფიქრობ, ჰილარი საშინელი პრეზიდენტი იქნება. ის ჩვენი ხალხის ისტორიაში უცუდესი სახელმწიფო მდივანი იყო და კარგი პრეზიდენტი აბა, როგორ გახდება? ერთადერთია ბანქო, რომლის თამაშიც მან იცის და ისიც საქალო ბანქოა, სხვა შემოთავაზებები არცრა აქვს. კარგი სიახლე ის არის, რომ იგი ქალებს არ უყვართ.

ცხოვრებაზე

ამძვეყნად დონალდის გაჩენა აბსოლუტური შემთხვევის თამაშია. დედამისი მერი ენ მაკლაუდი, შოტლანდიურ კუნძულ ლუისზე დაბადებული, 1930 წელს 18 წლისა დღესასწაულებზე ნიუ-იორკში წავიდა. იქ იგი გაეცნო წარმოსადეგ ახალგაზრდა ბიზნესმენ-მშენებელს ფრედ ტრამპს — და სამუდამოდ დარჩა ამერიკაში.

* * *

ნამდვილი მილიარდერები არცროდის არ ესწრაფვიან დროის ასწრაფებას, რამეთუ ცხოვრება ძალიან კარგი რამ არის, ოღონდ, სამწუხაროდ, ძალზე ხანმოკლეა.

* * *

მე სტრესისთვის თავის გართმევის კიდევ ერთი ხერხი მაქვს: ფიქრი იმაზე, თუ რამდენად მყიფე რამ არის სიცოცხლე. მე სამი ტოპ-მენეჯერი დავკარგე ატლანტიკ-სიტის თავზე შვეულმფრენის კატასტროფაში. როცა ასეთი ამბავი ხდება, ხვდები, რა მსწრაფლწარმავალია ცხოვრებაში ყველაფერი.

* * *

ცხოვრებამ ფრიად მნიშვნელოვანი გაკვეთილი ჩამიჭედა ტვინში: ვინც ერთხელ გიმტყუნა ძნელბედობის ჟამს, ის კვლავ გიღალატებს.

* * *

დაბერება საშინელებაა. კაცი რომ ჩაჩანაკდება, იმაში კარგი არაფერია, მაგრამ რა უნდა გავაწყოთ ამ ამბავთან? ჩვენ ყველას დაბადებისას უფალი ღმერთი „საკრედიტო ბარათებს“ გვაძლევს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ ბარათებს ვარგისობის ვადა აქვთ. ეს ვადა კი წინასწარ განსაზღვრულია და აღსრულება გარდაუვალია, ხოლო თუ ჩვენ ცუდად გამოვიყენეთ, რაც ჩვენს წილად მოცემული გვქონდა, მხოლოდ საკუთარი თავი უნდა დავიდანაშაულოთ.

* * *

ცხოვრება სასტიკი რამ არის და ადამიანებს არაერთი ძლიერი დარტყმის გაძლება უწევთ.

* * *

პრობლემები, წარუმატებლობები, შეცდომები, დანაკარგები — ეს ყოველივე ცხოვრების ნაწილია. როგორც მოცემულობას ამას ისე შეხვდით, თავს დაძაბუნების, ცხოვრების მიზნის დაკარგვის უფლება არ მისცეთ.

* * *

კარიერის კიბეზე ზესვლისთვის ბევრი ხერხია, ყველაზე ნაღდი და უტყუარი მაინც საჭირო ოჯახში დაბადებაა.

ასე ამბობდა დონალდ ტრამპი

ქართულად გადმოაქცია **გურამ გოგიაშვილმა**

* * *

მილიარდერთათვის სამუშაო და სიამოვნება ერთი და იგივეა.

* * *

მილიარდერს უბრალო ადამიანისგან არა მარტო ქონების ოდენობა განასხვავებს, არამედ გემოვნებაც, ზნეჩვეულებაც, ძლიერი მიდრეკილებაც, აღმატებულობაც, ერთი სიტყვით, ცხოვრების ხარისხი. ისე, მილიარდერობას აზრი არა აქვს, თუ არ შეგიძლიათ, ანდა არ იცით საკუთარი სიმდიდრით ტკბობა.

* * *

თუ თქვენი მეგობრები თქვენსავით გულდაჯერებულები არიან, ეს გამორიცხავს თქვენი წარმატებების მიმართ დამოკიდებულების ანდა ეჭვიანობის წარმოქმნას.

* * *

ცხოვრება უმეტესწილად წარმოადგენს განსაცდელისგან თავის დაღწევას და შეგუებას, ამაზე ჯერ კიდევ დარვინი მიუთითებდა.

* * *

თუ გინდათ, თქვენს თავს ისე მოეპყარით, როგორც ქალაქს: აწარმოე შიდა და გარე სამუშაოები, რათა აყვავების შესაძლებლობაც გქონდეთ და მაღალი შედეგებიც აჩვენოთ.

მოტივირებული აზრები

საკუთარი თავის რწმენა დაგეხმარებათ ყველა თქვენი ჩანაფიქრის განხორციელებაში. ეს დონალდ ტრამპის ერთ-ერთი ძირითადი იდეაა, რომელიც თვითონ ტრამპს უმართლებს ცხოვრებაში. ირწმუნე თავი შენი და გაკვირდები! ამ კაცს რომ ხედავ, გესმის, რომ იგი სულაც არ ცბიერობს.

იოცნებეთ დიდ რამეზე, რამეთუ შედეგად იმას მოახელკეთილებთ, რაზეც ოცნებობდით.

* * *

წარმატების გზაზე ყველაზე მთავარი მომენტებია — შენი საქმის ცოდნა და იმ საქმის სიყვარული, რასაც აკეთებ. ეს მრავალი რთული პრობლემის გადაწყვეტას ბევრად გაგიიოლებთ.

* * *

მეწარმე ვერ გახდებით კოლექტიურ ძალისხმევათა ხარჯზე. საჭიროა საკუთარი თავის რწმენა. კარლ იუნგი ამტკიცებდა, რომ ჩვენი გონების მხოლოდ 5 პროცენტს ვიყენებთ შეგნებით. ვისწავლოთ არაცნობიერში, ქვეცნობიერსა და დარჩენილ 25 პროცენტში „ჩართვა“ და ყველაზე საკვირველი შედეგები გველოდება.

* * *

გამოიმუშავეთ პოზიტიური ხედვა, ხელთ იქონიეთ ციტატებიანი უბის წიგნაკი, რომელ ციტატებსაც შეუძლიათ საგმირო საქმეთა შთაგონება. ეს დაგეხმარებათ ნეგატივისგან თავის დაღწევაში სწორედ იმ წუთას, როგორც კი ის წამოგეწევათ.

* * *

ჩვენს აზრებზეა დამოკიდებული, თავწყალს გავალთ თუ გულგატეხილობის ჭანჭრობში ჩავეფლობით. თავწყალში გავლა და თავის გამაგრება ყოველთვის არ გამოდის. ასეთია ცხოვრება. ცხადია, ყოველი ადამიანი შეიძლება რომ წაიქცეს, მაგრამ სულ წაქცეული ხომ არ იქნება?

* * *

ისწავლეთ საოცარი ხელოვნება — დავიწყება. იარეთ წინ და ერთი წამითაც არ იფიქროთ იმ ყველაფერ ცუდზე, ოდესღაც რომ შეგმთხვევიათ.

* * *

ეჭვები თუ გაგიჩნდათ, უბრალოდ ერწმუნეთ საკუთარ თავს და ჩათვალეთ, რომ აუცილებლად გაიმარჯვებთ, თქვენ მაგივრად არცვინ სხვა ამას ვერ იზამს, ნუ ებღაუჭებით მავანთა ნაირ-ნაირ აღთქმას და ნუ ელით სხვათაგან გამხნევებას. თუ ფიქრობთ, რომ ამოცანა ურთულესია, რომლის გადაჭრის ძალა არ შეგწევთ, თქვენც ადექით და საკუთარი თავის რწმენა განივითარეთ.

* * *

სიძნელენი ყველას ხვდება, რას ვიზამთ, ეს ცხოვრებაა. კატასტროფულ ვითარებაში ეგრევე თავს აჩენ, თუ სინამდვილეში რა კაციც ხარ. შენც ადექი და ის გახდი, ვისაც რთული პრობლემების გადაჭრა ემარჯვება — და შენც ის კაცი გახდები, ადამიანები ალალად დიდძალ ფულს გამეტებით რომ უხდიან.

* * *

წარუმატებლობა ანადგურებს და აბედრაგებს ანდა აძლიერებს ადამიანს, თქვენი არ ვიცი, მე კი მჯერა ერთი ძველი ანდაზის სამართლიანობა: „რაც არა გკლავს, ის ბევრად ძლიერსა გხდისო“. მე უდიდეს პატივს მივაგებ იმ ადამიანებს, ვინც ვერ წარემატა, მაგრამ თავიანთ თავში იპოვეს ძალა, რათა ისევ მიბრუნებოდნენ თამაშს.

* * *

უკეთუ ხელი მოგეცარა, ვერ წარემატე, ნურც ნურვის ნუ ელოდები ხელის ამპყრობელს — არ მოვლენ არც მეგობრები, არც სახელმწიფო. ერთადერთი თავდაცვა თვითონ შენა ხარ, ხოლო შენი დამოკიდებულება ყოველივე იმის მიმართ, რაც დღეს ხდება, ის გასაღებია იმისთვის, რათა თავი დააღწიო ხათაბალასა და დავიდარაბას.

* * *

დაბრკოლება, ამისთანა თუ იმისთანა, მუდმივად ჩნდება — ამაში დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, ოღონდ ეს დაბრკოლებები განიხილეთ როგორც გამოწვევები და არა როგორც ზღუდეები. მაშინ თქვენს თავში იპოვით ძალას ყოველგვარი დაბრკოლების გადასალახავად. ყველაზე მნიშვნელოვანი კი მაინც ის არის, კოწიწა იყვე, საქმის გულისთვის ჩაციება იცოდე და ნურასოდეს ნუ დაყრი ფარ-ხმალს. იმოძრავეთ წინ, თვალი არ მოაშოროთ მიზანს და შეფერხებას რასმე თუ მოულოდნელ წარუმატებლობას თავს ნუ გააჩერებინებთ.

* * *

მტკიცე გულდაჯერებულობა ანდამატია. ის ხალხს მოგიზიდავთ.

* * *

შეაგროვეთ, შეაფასეთ და მერე იმოქმედეთ. თუ არ მოქმედებთ, ცოდნა არაფრის მაქნისია.

* * *

თუ სამუშაოს და სიამოვნებას შორის შეწონასწორებას ცდილობთ, შეწყვიტეთ იმათი შეწონასწორების მცდელობა. ამის მაგივრად თქვენი სამუშაო ბევრად უფრო საამო გახადეთ.

* * *

შემოქმედება წარმატების მნიშვნელოვანი ელემენტია, რა საქმესაც არ უნდა ეწეოდეთ.

* * *

ცოდნის შეძენას მოთმინება უნდა, მოქმედებას — გამბედაობა. გააერთიანეთ მოთმინება და გამბედაობა და გამარჯვებული გამოხვალთ.

* * *

ენდეთ თქვენს გრძნობებს, მაგრამ მიაყურადეთ გონების ხმასაც.

* * *

მიჰყევით დამოუკიდებლად არჩეულ გზას, იმიტომ რომ ის სწორედ იქ მიგიყვანთ, სადაც მოხვედრა გინდათ.

* * *

ბრძოლაწაგებულმა ხანდახან ომში გამარჯვების ახალი რამ ხერხი შეიძლება რომ მოიგონოს.

(გაგრძელება იქნება)

თითოეული მამაკაცის ცხოვრებაში თავისი მნიშვნელობისდა მიხედვით მეორე მოვლენაა ის დღე, როცა იგი იახტას ყიდულობს, ხოლო ყველაზე უფრო დიდებული დღეა, როცა იმ იახტას ყიდის.



გაგრძელება. დასაწყისი იხ. №78-81

„ოსტატი და მარგარიტა“ მისტიკური ხიბლი

ლიტერატურული შედევრების ისტორია

მე-20 საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაში ძნელად თუ მოიძებნება ისეთი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელშიც იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრების ბოლო დღეებისა და ამავდროულად ბნელეთის ძალთა თარეში ისეთი მხატვრული ძალითა და ძვალრბილში გამჭოლი ექსპრესიით იყოს აღწერილი, როგორც მიხეილ ბულგაკოვის ჭეშმარიტად უკვდავ რომანში „ოსტატი და მარგარიტა“.

1966 წელის რომანის დასაწყისი პირველად გამოქვეყნდა ლიტერატურულ ჟურნალ „მოსკვას“ ნოემბრის ნომერში, ოღონდ საშინელი შემცირებებით, მისი სრული ტექსტი ათწლეულების შემდეგ დაისტამბა, გაგრძელებამ კი დღის სინათლე უკვე 1967 წლის იანვრის ნომერში ნახა.

რომანის პუბლიკაციასთან პრობლემები მისი ქრისტიანული თემატიკის გამო შეიქმნა, ხოლო ბარბაროსული შემცირებების ავტორი ჟურნალ „მოსკვას“ მთავარი რედაქტორის მოადგილე ბორის ევგენიევი იყო, რომელსაც ერთი რომ ეს საქმე დავალებული ჰქონდა, მეორეც ის, რომ იმავე ნომრებში მას თავისი ნაწარმოებიც უნდა დაესტამბა, ამიტომ მეტი ადგილი სჭირდებოდა(!)

ამ ჭეშმარიტი შედევრის, ისევე როგორც მისი ავტორისა და მოსკოვში მოქმედების ერთ-ერთი ადგილის ირგვლივ, დღემდეც ბევრი მითქმა-მოთქმაა, რომლებიც თავის დროზე წარმოშობილი ლეგენდებით საზრდოობენ. ზოგიერთ მათგანზე ლაპარაკი წინამდებარე პუბლიკაციაში გვექნება.

დავიწყოთ იმით, რომ რომანი მისი მესამე ცოლის ელენე ბულგაკოვას ძალისხმევით დაიბეჭდა, თუმცა კი ამაში ძალიან დიდია პოეტ კონსტანტინე სიმონოვისა და მწერლის მეორე ცოლის ევგენია ლასკინას წვლილი.

ბევრი კრიტიკოსი დღესაც მოარულ სისულელეს იმეორებს, თითქოსდა მიხეილ ბულგაკოვმა რომანი „ოსტატი და მარგარიტა“ მხოლოდ ერთი კაცისთვის — იოსებ სტალინისთვის დაწერა. რა თქმა უნდა, ეს სიმართლეს არ შეესაბამება: ნაწარმოები აღიარების მოსაპოვებლად შეიქმნა და აკი კიდეც მოუტანა ავტორს მსოფლიო აღიარება.

იმასაც ამბობენ, რომ ვინაიდან ახალგაზრდობაში მწერალი მორფინისტი იყო, მთელი რომანი მას ასევე ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში აქვს დაწერილი. ესეც მტკნარი სიცრუეა, რადგან პირველი ცოლის მხარდაჭერით მან ნარკოტიკის მოხმარებას თავი ჯერ კიდევ 1918 წელს დაანება.

კიევის სასულიერო გიმნაზიის მასწავლებლის — ათანასი ბულგაკოვის ოჯახში აღზრდილი მიხეილი, ცხადია, მორწმუნე იყო, მათ სახლში ბიბლია ყოველ კვირადღეს ხმამაღლა იკითხებოდა. მამის გარდაცვალების შემდეგ დედამისი ხელმეორედ გათხოვდა მეუღლის მკურნალ ექიმზე, რამაც, როგორც ჩანს, გარკვეული ზეგავლენა მოახდინა მიხეილის მიერ პროფესიის არჩევაზე. მაგრამ მედიცინის შესწავლა რომ დაიწყო, მან რელიგიას ზურგი „მკვეთრად“ შეაქცია. იმ ხანებში დარვინიზმით გატაცება მოდური იყო, მედიკოსებს კი ეგონათ თუკი ანატომიურ თეატრებში გვამებს კვეთდნენ და სულს „ვერ ნახულობდნენ“, მაშასადამე, არც ღმერთი არსებობს. მაგრამ მერე ბულგაკოვმა კიდევ ერთი მკვეთრი მეტამორფოზა განიცადა და კვლავ რწმენას დაუბრუნდა. ეს ამბავი უკვე სამოქალაქო ომის დასაწყისში მოხდა, ამას რომანი „თეთრი გვარდია“ მოწმობს. ძმათამკვლელი ომის საშინალებათა მაცქერალმა ბულგაკოვმა დატრიალებული უბედურების ახსნის ძიებაში წმინდა წერილის გადაკითხვა დაიწყო და პასუხს იოანე ღვთისმეტყველის წიგნში მიაგნო, რითაც მთელი „თეთრი გვარდიაა“ გაჟღენთილი. მართალია, მწერალი არც აღსარებაზე დადიოდა, არც ჯვარს ატარებდა, მაგრამ „ოსტატი და მარგარიტა“ აშკარად მორწმუნე კაცის დაწერილია, რომელსაც სწამს იესო ქრისტესი, არა ადამიანისა, არამედ — ღმერთისა.

ნამდვილად ტყუილია ის ამბავიც თითქოს ვოლანდის პროტოტიპია სტალინი. ეს ცხადია, სრული სისულელეა, ბულგაკოვის ჩანაფიქრი იყო ორი მოთხრობის — „ავბედითი კვერცხებისა“ და „ძაღლის გულის“ გაგრძელების, სატანაზე გროტესკული რომანის დაწერა, მაგრამ შემდეგ ჩანაფიქრი სრულად შეიცვალა, მან ნაწარმოებში ავტობიოგრაფიული თემა წამოიწყო და 1932 წელს, ფაქტობრივად, მზა მასალის საფუძველზე, ახალი რომანის წერა დაიწყო.

რაც შეეხება „ცუდ ბინას“, რომელშიც მესირ ვოლანდი თავის ამალასთან ერთად მოსკოვში იდგა ბანაკად და სადაც, რეალურად, თავის დროზე თავად მწერალი ცხოვრობდა, მასთან იმდენი მისტიკური ამბავია დაკავშირებული, ერთ სოლიდურ ტომს ეყოფოდა. მათში ტყუილ-მართალის გარჩევა უაღრესად რთული საქმეა, მაგრამ არის ზოგიერთი ისეთი უტყუარად დადასტურებული ფაქტიც, რომელთა მისტიკურობა არავითარ ეჭვს არ იწვევს, რადგან საღი გონების მოხმობით მათი ახსნა შეუძლებელია. იმ სადარბაზოს გვერდითა სადარბაზოში, სადაც ის „ცუდი ბინა“ მდებარეობს, კერძო მუზეუმი „ბულგაკოვის სახლი“ გახსნეს. მუზეუმის პატრონმა თავის შავ ხვად კატას, ცხადია, ვოლანდის ამალის წევრის თიკუნი ბეჰემოტი შეარქვა. მუზეუმში კატის მიყვანიდან მესამე დღეს ასეთი რამ ხდება: ხვადი კართან მიდის, ჯდება და მის გაღებას ელის. შემდეგ ეზოში გადის, მიდის „ცუდი ბინის“ სადარბაზოსთან და იქაც კარის გაღების მოლოდინში, მის წინ ჯდება. კარი რომ იღება, იგი შეუჩერებლად პირდაპირ მეხუთე სართულზე ადის და ახლა „ცუდი ბინის“ კართან ჯდება! როცა ეს ამბავი პირველად მოხდა, ხალხს იქ შიშისგან გული წაუვიდა, მაგრამ კატა ბინაში მაინც შეუშვეს. მან სარკესთან ადგილი შეარჩია და გემრიელად მოკალათდა. მას შემდეგ ეს რიტუალი აგერ უკვე მერამდენე წელია, ყოველდღიურად გრძელდება!..

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

მსოფლიოში დაახლოებით 1500 მილიარდერია

9 უმდიდრესი ადამიანი უფრო მეტს ფლობს, ვიდრე დედამიწის 4 მილიარდი მოსახლე

Oxfam-ის უახლესი კვლევის თანახმად, მსოფლიო მოსახლეების 1% იმაზე მეტ სიმდიდრეს ფლობს, ვიდრე საერთო პოპულაციის 50%. კიდევ ერთი თვალსაჩინო ფაქტი — **სულ რაღაც 9 ადამიანი იმაზე მეტ ქონებას ფლობს, ვიდრე პლანეტის 4 მილიარდი მაცხოვრებელი.** Oxfam-ის ვარაუდით, მსოფლიო პირველ ტრილიონერ ადამიანს დაახლობით 25 წელიწადში იხილავს.

შვეიცარიული მულტინაციონალური საინვესტიციო ბანკის UBS-ის ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოში დღეს დაახლოებით 1500 მილიარდერია. მათ შორის, 560 აშშ-ის მოქალაქეა.

ქვემოთ მოცემულია Forbes-ის მიხედვით მსოფლიოში ყველაზე მდიდარი 9 ადამიანი.

9. ლარი პეიჯი – 52.2 მილიარდი დოლარი

ლოურენს ედვარდ პეიჯი Google-ის დამაარსებელია. იგი ამჟამად Google-ის მფლობელ კომპანიას, Alphabet-ს ხელმძღვანელობს.

8. ლარი ელისონი – 60.4 მილიარდი დოლარი

ლარი ელისონმა 1977 წელს პროგრამული უზრუნველყოფის კომპანია Oracle დააარსა. კომპანიის სასტარტო კაპიტალს 2000 დოლარი წარმოადგენდა (1200 დოლარი თავად ელისონმა გაიღო). ელისონმა კომპანიის გენერალური დირექტორის პოსტი 2014 წელს დატოვა, თუმცა კომპანიის მართვის საქმეებში კვლავ ჩართულია.

7. კარლოს სლიმი – 67.6 მილიარდი დოლარი

